

1963 .

საქართველოს
საბჭოთავო კულტურის
მინისტრო

საქართველოს
თეატრალური
საზოგადოებრივი
კულტურის
მინისტრო

4 1963



ს თ ს

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
გ რ ა ბ ბ ე

ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი
№ 4 (26)

რედაქტორი—ნინო შვანგირაძე

პ. მგ. მდივანი ლილი ლოყთათიძე

საკრედიტო კოლეგია:

დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი,
ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, დ. მკედლიძე,
ბ. ქლენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

თანამედროვეობის თემაზე ხელოვნებაში ბევრს ვწერთ, ვლაპარაკობთ, ვკამათობთ, ვწუხვართ, როდესაც თეატრებში ცოტა იღვმება თანამედროვეობის ამსახველი პიესები. ვაკრიტიკებთ. იმ თეატრების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვაიტაცა თანამედროვეობის ამსახველ პიესათა დადგმის რაოდენობამ და სცენა დაუთმეს მხატვრულად ისეთ სუსტ დრამატურგიულ ნაწარმოებებს, რომლებიც ვერ ასახავენ თანამედროვე ცხოვრებას. კრიტიკას ყურადღების გარეშე არ რჩება ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი თეატრალური კოლექტივები, მართალია, დგამენ თანამედროვე პიესებს და ქმნიან სრულიად პროფესიულ სცენურ ნაწარმოებებს, რომლებსაც ვერაფერში შეედევნებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სპექტაკლები ვერ აღლვებენ მაყურებელს. აუდიტორია გულგრილია ყოველივე იმისადმი, რაც სცენაზე ხდება. ასეთ ხელოვნებას არ შეუძლია ადამიანი ჩვეულებრივი თეატრალური აღქმის კალაპოტიდან ამოაგდოს. ის ვერ ახარებს ადამიანს, რადგან მასში არ არის ახალი, ცოცხალი შემოქმედებითი აზრი, თემის ორიგინალური ჰვრეტა, არ არის ჭიდილი და ბრძოლა, რაც მთავარია, არ არის შემოქმედებითი, სხაბრუნის ფრთხილად შემსხმელი გამარჯვება და წინსვლა.

ახალი ეპოქის ხელოვნებამ, რომელიც მომავლის ადამიანის მისამართითაა, უნდა აღანთოს ჩვენი აზრი და განცდები. ამ ხელოვნებამ უნდა ჩააფიქროს ადამიანები იმის შესახებ, რაც წინა დროს ყურადღების გარეშე რჩებოდა, უნდა დაბადოს სწრაფვა უკეთესისა და მშვენიერისაკენ, ასე ხდება იმ ბედნიერ შემთხვევაში, როდესაც თეატრში მოდის დაკვირვებელი, დახვეწილი გემოვნების მხატვარი, რომელმაც იცის ცხოვრებისა და ხელოვნების კანონები, იცის ადამიანის ფსიქო-

ლოგია. აქ მომავლის სპექტაკლის შემქმნელებში ის ხედავს თავის შემოქმედების თანამოაზრეებს, თავისი საქმის შეუპოვარ და გაბედულ ერთუზისტებს. ამიტომ, ასეთი ადამიანების ერთობლივი მუშაობა ხელოვნების ნამდვილ ნაწარმოებად იქცევა, გადაიქცევა კოლექტივის მიღწევად და ადგილს იკერს ეროვნული თეატრების დიდ გამარჯვებებში. მაგრამ თეატრის შემოქმედებითი მუშაობის ყველაზე მაღალი მიღწევაც კი, რომელიც შედგება კლასიკური რეპერტუარის, თუ საზღვარგარეთული დრამატურგიის განხორციელების, ვერ შეედრება შემოქმედის იმ სიხარულს, რომელიც მას მიანიჭა ჩვენი ადამიანების გვირუკის საქმევით შთაგონებულმა სპექტაკლმა. ამიტომაც ასე დიდი და ძლიერი თანამედროვეობის თემის მიმზიდველობის ძალა.

ჩვენი თეატრების მდგომარეობა ამ მხრივ არც თუ ბრწყინვალეა. ჩვენ გვაქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ ქართული დრამატურგია ამაღლებული იყოს, მას ჰქონდეს თავისი მწვერვალები და მიღწევები ხელოვნებაში, მიუხედავად ამისა ვერ ვიტყვით, რომ იგი სათანადო სიმალღეზე იდგეს. გვყავს ნიჭიერი რეჟისორები, მსახიობები, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო ხანებში თანამედროვეობის თემაზე შექმნილია ისეთი ღელვადობის სპექტაკლები, როგორებიცაა „ოიდიპოსი“, „ბახტრიონი“, „მედეა“.

თანამედროვეობის თემაზე შექმნილი ბევრმა სპექტაკლმა თანდათან დაკარგა მაყურებელი.

თეატრმა უნდა მოიზიდოს მაყურებელი, ამისათვის საჭიროა მისი სპექტაკლები იყოს ცოცხალი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. თეატრის შემოქმედებითა კოლექტივმა ამ მუშაობაში უნდა ჩააქსოვოს მთელი გონება



და სული. ხელოვნება უნდა იყოს სრულფასოვანი, საინტერესო. იგი უნდა პასუხობდეს თანამედროვე ამოცანებს.

ქარგი პიესა ქარგი სპექტაკლის საფუძველია. ამავე დროს გადამწყვეტია, თუ როგორ მუშაობს რეჟისორი, როგორ მიყავს მას მსახიობები და თუ ყველა მხარე გათვალისწინებული იქნება, მაშინ, რა თქმა უნდა, სცენური ნაწარმოების წარმატება უზრუნველყოფილია.

თეატრალურ ხელოვნებაში მაშინ შეიძლება წარმატების მოპოვება, თუ კი თეატრალური კოლექტივები რეპერტუარს ისე შეადგენენ, რომ თანამედროვე თემას და კლასიკურ რეპერტუარს შორის სწორი პროპორცია იქნება დაცული. რეპერტუარში აგრეთვე უნდა შევიდეს მომე ხალხთა ცხოვრების ამსახველი პიესებიც. საზღვარგარეთის მწერალთა ნაწარმოებიდან უნდა შეირჩეს ჩვენთვის აქტუალური დრამატული ნაწარმოებები. ასეთი თანამედროვეობა თეატრში მოსაწონი იქნება მაყურებლისათვის.

თანამედროვეებს თანამედროვეობა უნდა შეეძინოს თეატრებში. ამ მხრივ ჩვენი თეატრები ბევრს გვაძირდებიან, მაგრამ სამწუხაროდ ეს დანაპირებები ხშირად მხოლოდ დაპირებებად რჩება. გვინდა გვჯეროდეს, რომ ჩანაფიქრთაგან ბევრი უკომპრომისოდ იქნება განხორციელებული, არ იქნება დაშვებული მხატვრული შეღავათები, არ იქნება ადგილი შემოქმედებითი პროდუქციის უმწიფარობას.

დიდ გემებს დიდი შემოქმედებითი შრომა სჭირდება.

კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემოქმედებით ტრადიციებზე აღზრდილი ჩვენი თანამედროვე მაყურებელი ამ შესანიშნავ ხელოვანთა მიმდევრებისა და მოწაფეებისაგან მოითხოვენ ისეთ ხელოვნებას, რომელიც შეეფერება ქართული საბჭოთა თეატრის დიდი ფუძემდებლების სახელებს.

1963 წლის 14 ოქტომბერს ხელოვნების მუშაკთა სახლის დარბაზში შედგა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეხუთე მოწვევის მეხუთე პლენუმი.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. მან პლენუმის მონაწილეთ გააცნო დღის წესრიგი და სთხოვა დამსწრეთ მომხსენებლის მიერ დაყენებული საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ.

სიტყვა მოხსენებლისათვის „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ჩვენი თეატრის ამოცანები თანამედროვე რეპერტუარისათვის ბრძოლაში“ მიეცა კულტურის მინისტრის მოადგილეს ამხ. აკაკი დვალიშვილს. აკ. დვალიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს ჩვენს ხელოვნებაში ფორმალისტურ იქსცესებს ჰქონდა ადგილი, რის შესახებაც სრულიად სამართლიანად ითქვა არა ერთგზის. ახლა, როდესაც დასავლეთის იმპერიალისტურ ქვეყნებში ანტიკომუნისტური სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და აქტუალობის სიმაღლეზეა აყვანილი, საქართა სრულ სომარ მომხადებაში მოვიყვანათ ჩვენი იდეოლოგიური იარაღი და ბოლო მოვუღოთ მისთ იდეოლოგიური თანაარსებობის შესახებ. სწორედ ამიტომ გაამახვილა ყურადღება იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმმა.

ამ მიმართულებით უადრესად დიდი პერსპექტივები იშლება ლიტერატურისა და ხელოვნების კერძოდ კი თეატრის მოღვაწეების წინაშე. იდეოლოგიურ დიფერისას თავის თავად გაცემთა საკადრისი პასუხი, თუ ლიტერატურა და ხელოვნება ხალხის კომუნისტური სულიკვეთების აღზრდის ფუნქციას

აქტიურად იტვირთებს. პარტია კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ჩვენი ხელოვნების დანიშნულებას და კარგად უნდა გავიგოთ, რომ პარტიის მოწოდებაში მარტო პარტიის სფეროში არ არის აღბეჭდილი, არამედ თვითონ ფუნქციაცაა ამოკითხული. ყოველივე ეს უშუალოდ თეატრსაც ენება. დასახული მიზნების პირისპირ და მის დადებითად გადასაქრელად საქირთა, უპირველეს ყოვლისა, გაეაჩალოთ ბრძოლა თანამედროვე რეპერტუარისათვის, სწორად წარვმართოდ სარეპერტუარო პოლიტიკა, აღმოვფხვრათ დასავლეთის ავტორთა საექვო ღირსების პიესებით გატაცება და საბჭოთა სინამდვილის ამსახველი ჩვენი მკვიდრი დრამატურგიის დანერგვაზე ვიზრუნოთ. დღევანდლობის მალამბატვრულ სახეებში, სწორი პოზიციიდან გაშუქებით საქირთა გავაბათილოდ ვიოთმ არსებული და ფაქტიურად კი ყურით მოთრეული კონფლიქტი მამათა და შვილთა შორის. ამიტომ სასცენოდ უნდა მივიგულოთ არა ცხოვრებით განაწყნებული, უნათო და უსუსური ინდივიდი, რომელიც მამათა გმირული საქმის ნიღლისტური რევიზიის გზას დასდგომია, არამედ რევოლუციის მონაპოვრის დამცველთა და გამგრძელებელთა ახალი თაობის ღირსეული წარმომადგენლის კონკრეტირებული სახე.

შემდეგ აკ. დვალიშვილმა ანალიზი გაუკეთა გასული თეატრალური სეზონის შედეგებს და აღნიშნა, რომ გასული წლის საქმეტაკლებიდან აღსანიშნავი იყო ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესა „მე ვხედავ მუხს“ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე, რომელმაც მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა და ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც ჰპოვა რეზონანსი.

მომხსენებელმა დადებითი შეფასება მისცა ი. იოსელიანის პიესას „ადამიანი იბადება ერთხელ“ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე, გ. მარუაშვილის



სატირულ კომედიას „საქმენი აჭიმიტორნი“ ჭიათურის სახელმწიფო თეატრში, ვ. გოგოლაშვილის „წეროებს“, რომელიც მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრის შიერ მოსკოვში გასტროლების დროს იქნა წარმოდგენილი.

მაგრამ ჩამოთვლილი სპექტაკლები საქმეს ვერ შევლის, განაცხადა მომხსენებელმა, — გასული წლის ჩვენი თეატრების მუშაობა თანამედროვეობის თემის დაძლევაზე ვერ სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას. თეატრებმა ვერ მოგვეცეს ჩვენი დიდი ეპოქის შესატყვისი სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებები. ამიტომ მიმდინარე სეზონში გაათავსებული ინერგითი გემართებს მუშაობა, რათა აღმოვეფხვრათ არსებული ნაკლი და პირნათლად წარვდგეთ ჩვენი მაყურებლის წინაშე.

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშაობას ამ საკითხის ვადაქტაში და აღნიშნა, რომ თეატრმა უკანასკნელი სეზონების მანძილზე მხოლოდ წელიწადში ერთი თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლის წარმოადგენა მოახერხა (გ. ხუხაშვილის „ზღვის შეილები“ 1961 წ., ლ. სანიკიძის „ქუთათურები“ 1962 წ. და ა. ოსტელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“ 1963 წ.), რაც რიცხობრივად მცირეა, რასაც ვერაფერ ვერ შეუბრძვება. მაღალკვალიფიციური რეჟისორული და აქტიორული კადრით დაკომპლექტებული თეატრალური ორგანიზმში ყოველმხრივ უნდა იყოს მავალითის მიმცემი სხვა თეატრებისათვის. სახელოვანი ტრადიციები და მოპოვებული ავტორიტეტი ამას ავალებს რუსთაველის, თეატრის კოლექტივის. რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელთა დარკვეული დაპირებებით გვაიმედებს წლებიანად სეზონში და სასიხარულო იქნება, თუ ამ დაპირებებს კეთილსინდისიერად განახორციელებს.

მომხსენებელმა კარგი შეფასება მისცა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშაობას გასულ სეზონში და იმედოვნებს, რომ ამ თეატრს ახალ სეზონებშიც ახალი შემოქმედებით მიღწევები ექნება.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ თეატ-

რის რეპერტუარში ნაკლები ადგილი ექცევა თანამედროვეობის ამსახველ დრამატურულ მომხსენებელი იმედოვნებს, რომ ახალ სეზონში, სარეპერტუარო პოლიტიკის თვალსაზრისით დაშვებული შეცდომა მთლიანად იქნება აღმოფხვრილი.

მომხსენებელმა ილაპარაკა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში არსებული თეატრების შესახებ და აღნიშნა, რომ მ. ბარათაშვილის კომედია „სიყვარულის წისკვილი“, რომელიც შარშან ჭიათურის თეატრის კოლექტივმა განახორციელა, ახლა გორისა და ზუგდიდის თეატრის სცენებზე იქნება წარმოდგენილი. აღნიშნულ ნაწარმოებში ლირიკულ ასპექტშია ასახული დასავლეთ საქართველოს სოფლის ყოველდღიური ყოფა, მოვლენები თანამედროვეობის სწორი ხედვითაა გაშუქებული. რაიონის თეატრები მუშაობენ მთელ რიგ თანამედროვეობის ამსახველ პიესებზე: ა. დელაძის „ატმის ყვავილობა“, რომელსაც აშაბდებს ბათუმის თეატრი, და ასევე სოხუმისა და ცხინვალის თეატრის ქართული სექტორები, დ. თაქთაქიშვილის პიესაზე „მგლები“ ქუთაისისა და მახარაძის თეატრებში, ა. აფშელაშვილის „ადამიანის დაბრუნება“ ფოთის თეატრში, მაგრამ არიან ისეთი თეატრებიც, რომელთა რეპერტუარში ჯერაც ვერ ვხვდავთ თანამედროვეობის ამსახველ პიესებს. მაგრამ ყოველი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი უნდა იცადოს აღმოფხვრას ეს ნაკლი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის რეპერტუარის საკითხი უკვე რამდენიმე წელია მწვავედ დგას. თეატრი ძალზე შემოფარგლულია რუსული და დასავლეთ ევროპის საოპერო კლასიკური ქმნილებებით, მაგრამ მათგარი ისაა, რომ ოპერის თეატრის სცენაზე სრულიად არ იდგება თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების ნაწარმოებები, რომელიც საქართველოს გარეთ შეიქმნა. სამწუხაროა ისიც, რომ ვერც ერთმა თანამედროვე თემამ შექმნილია ქართულმა ოპერამ ვერ დაიმკვიდრა ჩვენს სცენაზე ხანგრძლივი ცხოვრება, ბევრი მათგანი მხოლოდ ეფარება თანამედროვე თემას და თავისი ხარისხით ვერ უსწორდება ჩვენი ეპოქის მოთხოვნებს. ამ მხრივ ფალიაშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელობას მართებს განახორციელოს თავის სცენაზე საბჭოთა საოპერო მუსიკის ის ქმნილებანი, რომ-

ლებიც წარმოადგენენ თანამედროვეობის თემის განხორციელების კლასიკურ ნიმუშს.

დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასულ წლებთან შედარებით წრევანდელ სეზონს არც ისე ცუდი პერი უჩანს. საჭიროა; თანამედროვეობის ამსახველად პიესების მოპოვებაზე კვლავაც შეუწყობლად ვიზრუნოთ. ქართული დრამატურგიის აქტიური მხარდაჭერა ჩვენი თეატრის პერსპექტიული წინსვლის საფუძველია. თეატრების ვალია— იზრუნოს დრამატურგებთან, მწერლებთან მჭიდრო კავშირის დანერგვაზე, კონტაქტის დამყარებით დრამატურგიისა თეატრთან მოიპოვოს სცენა, აუდიტორია. ეს ერთი მთლიანი პროცესის ორი განუყოფელი მხარეა, ვინაიდან არც თეატრს და არც დრამატურგებს უფრთხიანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ. საჭიროა გაერთიანებული ძალით ვიზრუნოთ თანამედროვე რეპერტუარის შესაქმნელად, დავდგეთ ივნიისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების სიმილღზე და ცხარეებაში განვხორციელოთ ის ღიადაც საქმე, რომელიც პარტიამ და მთავრობამ მოგვანდო.

მომხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

კამათში გამოსულმა ქუთაისის მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ აღნიშნა, რომ სიძნელების მიზეზად არ შეიძლება მარტო დრამატურგიის სისუსტე მოვიმიზეხოთ. მარტო დრამატურგიაში არ არის საქმე. მე მინდა მოვახსენოთ ჩემი მოსაზრება ერთ პიესაზე. ეს არის იონა ვაკელის „ხელაშვილები“ ოჯახი“. დრამაში მოცემულია ბრძოლა ნიჭიერებასა და უნიჭობას შორის, რომელიც მოკარტისა და სალიერის ბრძოლას გაეს. ეს პიესა, რასაკვირველია, არ არის ჩვენი დღევანდელი დრამატურგიის შედეგო, მაგრამ იგი დავდგეთ და ფიქტობით, რომ ის მკურნებელი თუ არ აღადგროფიანებს, სიამოვნებას მაინც მოჰგვრის. ჩვენ იძულებულნი ვიყავით დავგედვა ეს პიესა, რადგან თუ სულ შედევრებს ველოდით, მაშინ ვერაფრის დადგმას ვერ მოვახერხებთ. შედეგებზე საერთოდ იშვიათად იქმნება (არ არის არც ერთი ქვეყანა, რომელიც თავის დრამატურგიის საგანდურში 10 შედეგის არსებობას დაიტრიახებს).

მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა თეატრალუ-

რი კრიტიკის შესახებ. კრიტიკა უნდა დავმაროს მსახიობს, მიუთითოს მის მიღწევებსა და ხარვეზებზე, მაგრამ კრიტიკა უნდა წყოს სამართლიანი, დამხმარე და არა ხელისშემშლელი.

თავის სიტყვაში დრამატურგმა გ. პატარაიამ აღნიშნა, რომ უნდა იფერებოდეს ეპოქის ამსახველი პიესები. მან თბილისის წამყვან თეატრებს უსაყვედურა უცხოელი ავტორებით გატაცება და აღნიშნა, რომ მ. ბარათაშვილის პიესები, რომელნიც წარმატებით იღვმება რაიონის თეატრებში, ვერ მოხვდა თბილისის თეატრების სცენაზე, თუ საშუალო ღირსების პიესა თეატრმა კარგად დადგა, მაშინ ასეთი სპექტაკლი გაიმარჯვებს და მიმზიდველი და საინტერესო იქნება მიყურებლისათვის. გ. პატარაიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ რეჟისორებს გატაცება უცხო ავტორთა პიესებით იწვევს ქართული დრამატურგიის კონსერვირებას. სიტყვის დასასრულს გ. პატარაიამ აღნიშნა, რომ უკეთესია, თუ გვიჩინებება შეფარდება ქართულ თანამედროვე დრამატურგიასა და უცხოურ დრამატურგიაზე შექმნილ სპექტაკლებს შორის.

კამათში გამოსულმა თეატრმცოდნემ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგემ ვ. კვიციანიძემ თქვა: „არ შეიძლება იმის ხელაღებით თქმა, რომ ჩვენ გვერდს ვუვლით ქართულ ლიტერატურაში აღიარებულ ნაწარმოებებს. ჩვენ ვღვამთ პროგრესულ უცხოურ პიესებს, ხოლო, რაც შეეხება ქართულ დრამატურგიას, წარსულ კლასიკურ მწერლობას (მხედველობაში გვაქვს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა), არ დარჩა არც ერთი ნაწარმოები, რომელიც ჩვენ ქართულ სცენაზე ინსცენირებულ არ ყოფილიყოს. რაც შეეხება საბჭოთა პერიოდის პროზას, ყველა მათგანი, ან უმრავლესობა, დადგმული არის რუსთაველის ან მარჯანიშვილის სახელობის თეატრების სცენაზე.“

ახლა რუსთაველის სახელობის თეატრს აქვს მცურე სცენა, რომელიც დაეთმობა ლიტერატურული ნაწარმოებების ინსცენირებას. აქ დაიდგმება ქართველი თანამედროვე მწერლობის მცირეფორმის ნაწარმოებები. აქვე მოეწყობა ლიტერატურული საღამოები.“

კამათში გამოსულმა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა არჩილ ჩხარტიანიშვილმა



განაცხადა, რომ საქიროა მოისპოს ის წინა-
აღმდეგობანი, რომელსაც ადგილი აქვს ავტო-
რებსა და თეატრალურ კოლექტივებს შო-
რის. თეატრის კოლექტივი, რასაკვირველია,
მომხრება, რომ ავტორებმა ჩვენი თანამედ-
როვე ცხოვრების დღეები დღე ასახონ,
გამოიტანონ ფართო სარბიელზე წმინდა
ქართული პრობლემები, რომელსაც გადაწყ-
ვეტა სჭირდება. მხოლოდ ყველა ამ საკით-
ხების გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი
წარმატების მიღწევა ხელოვნებაში და მკუყ-
რებელიც ნახავს ისეთ დრამატულ ნაწარ-
მოებებს, რომელიც სავსებით დაკმაყოფი-
ლებს მის სულიერ მოთხოვნებს.


საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა
ა. ხორავამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ
წინათ ყოველ თეატრს თავისი საკუთარი
შემოქმედებითი გზა ჰქონდა. ერთი თეატრი
სულ არ ვაგდა მეორე თეატრს თავისი ხასი-
ათით, შემოქმედებით სახეების შექმნით და
სხვ. მაგალითად, მარჯანიშვილისა და რუს-
თაველის თეატრის შემოქმედება სრულიად
განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. სხვადა-
სხვა დრამატული ტილოები იყო გამოყენე-
ბული ამ სხვადასხვა თეატრებში. რომელიმე
მსახიობი თუ კარგი იყო ერთ თეატრში, მე-
ორისათვის იგივე მსახიობი თავისი თამა-
შით სრულიად არ იყო შესაფერისი, იგი არ
გამორგებოდა მეორე თეატრის პრაქტიკულ
საქმიანობასთვის. მაგრამ, მიუხედავად ამ
თვისებებისა, ერთი თეატრის კოლექტივი მე-
ორე თეატრის კოლექტივს კი არ ეწინააღმდე-
გებოდა, არამედ შემოქმედებითი დისკუსიები
ჰქონდათ ერთმანეთს შორის. მაგრამ ეხლა ეს
ტრადიცია დაირღვა და თეატრების მუშაო-
ბაც ნელი ტემპით მიმდინარეობს, მე იმის
მომხრეც ვარ, რომ თეატრს ერთი ხელმ-
ძღვანელი ჰყავდეს, თორემ თეატრში რამ-
დენი კაციც არის. იმდენი შეხედულება არსე-
ბობს. თეატრის მთელი კოლექტივი ერთ
მხატვრულ ხელმძღვანელს უნდა ემორჩილე-
ბოდეს, თეატრში შემოქმედებითი თანამ-
შრომლობა უნდა არსებობდეს. მხოლოდ შე-
მოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად
იქნება შესაძლებელი წარმატების მოპოვება.

თავის სიტყვაში ხელოვნებათმცოდ-
ნეობის დოქტორმა, დიმიტრი ჯანელიძემ
ილაპარაკა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში
იმყოფება თეატრალური მუხეში სათანადო
ფართობის უქონლობის გამო. ამის მიზეზია,

რომ ქართული თეატრალური ხელოვნების
ისტორია მივიწყებულია, რაც განაპირობებს
ჩალაგებულსა და დამუნჯებულს. მასალები
დამუშავებული არ არის, ხალხისათვის გამო-
ყენებულია, მინდა დავაყენო საკითხი პლე-
ნუმის წინაშე, რათა ქართული თეატრალუ-
რი მუხეშისათვის გათოვოს შესაფერის
შენობა და გაკეთდეს ყველაფერი მასალების
შესაყრებად და დასამუშავებლად, რათა
ქართველ ხალხს შესაძლებლობა მიეცეს ია-
მყოს თავისი თეატრის წარსულით.

საბჭოთა თეატრის არსებობის 40-წლის
მანძილზე შეიქმნა რამდენიმე მართლაც შესა-
ნიშნავი ნაწარმოები და უკეთესია ჩვენი, თე-
ატრები დგამდნენ ამ პიესებს, ვიდრე გვიჩვენებ-
დნენ ისეთ სპექტაკლებს, როგორც „წვიმის
გამყიდველია“. რატომღაც წესად შემოვიდა,
რომ დრამატურგებმა რეჟისორებს დასდლო
ბრალი რაიმე წარმატებლობის შემთხვევაში
და პირიქით, რეჟისორებმა დრამატურგებს.

სიტყვა ეძლევა თეატრალური ინსტიტუ-
ტის დირექტორს ი. თავაძეს, რომელმაც
აღნიშნა, რომ რამდენიმე ხნის წინათ თბი-
ლისის კომინის სახელობის პარტიის რაიო-
ნული კომიტეტის მიდევანა სრულიად სა-
მართლიანად გააკრიტიკა ლიტერატურისა
და ხელოვნების დარგის მუშაკები. თეატრ-
ალურ ხელოვნებაში მართლაც ძალიან ცუდი
მდგომარეობაა. მთავარი უბედურება იმაშია,
რომ ჩვენ არაფერზე არ ვიღვავთ, ყველა
გულგრაობები ვართ. არაფერზე არ ვოცნე-
ბობთ, სამწუხაროდ ჩვენ მცირე საუბრებით
ვკმაყოფილდებით. ის რაც კეთდება, კეთ-
დება მექანიკურად, არა მთელი ენერჯის
დაძაბვით. საქიროა მკაცრი, აუცილებელი
გეგმების დასახვა და გადაწყვეტა, რათი
ბოლო მივლინო ყოველგვარ ხარვეზებს ჩვენს
მუშაობაში. ისმება კითხვა: რა ეშველებათ
თეატრალური დარგის მუშაკებს, თუ კი ისი-
ნი მომავალშიც ასე განაგრძობენ მუშაობას,
როგორც დღეს მუშაობენ და როგორ იარ-
სებენ თეატრი, თუ კი მსახიობებსა და ამ
დარგის სხვა მუშაკებს შორის ისეთი დამო-
კიდებულება იქნება, როგორც დღეს არის.
არცაა საქირო ასეთი გაუთავებელი ლაპარა-
კი, მაგრამ, ჩემს აზრით, ჩვენთვის მართლა
საჭიროა შეკრება, მაგრამ არა ასეთი, რო-
გორც დღეს, არამედ უფრო სხვაგვარად
და სხვა ვითარებაში. შეკრებამ ვიწრო ხა-
სიათი უნდა მიიღოს, გულახდილად უნდა



ვთქვით, ვის რა აწუხებს, ვის რა გულსტიკი-
ვილი აქვს და სხვა. არ არის საჭირო პი-
რიდაი ინტერესები და ვაკუენოთ მაღლა.

დრამატურგმა მ. მრევლიშვილმა საყვედუ-
რი გამოთქვა საქართველოს თეატრების მი-
მართ, რადგან პიესის, რომლებიც რამდენ-
იმე წლის წინათ წარმატებით იდგმებოდა
თეატრებში, დღეს იმავე თეატრების მიერ
გადავადებულია. დრამატურგი წერს ნაწარ-
მოებს, თავის ნაფიქრალს, ნააზრევს, მაგ-
რამ პიესის დადგმიდან რამდენიმე წლის შემ-
დეგ, ამ სპექტაკლს ხსნიან სცენიდან და მას
როგორც წახმარ ხელთათმანს ავადებენ. მე
ძალიან მკვიდრებს, რატომ არ აღადგენენ
ჩვენი თეატრები ზოგიერთ ძველ დადგმებს,
რომელთაც თავის დროზე დიდი წარმატება
ხვდათ. კარგი იქნება თუ ჩვენი თეატრები
აღადგენენ თავის სცენაზე ისეთ სპექტაკლებს,
როგორც იყო „კიკვიძი“, „ახიზორი“, „არსე-
ნა“, „საკალ გულში“ და სხვა.

კამათში გამოსულმა კრიტიკოსმა მ. ჟღენ-
ტმა თავის ვრცელ სატყუავში აღნიშნა, რომ
მისი აზრით საქართველოს თეატრების მიმე
მდგომარეობა გამოწყვეულია იმ მდგომარეო-
ბით, რომ კულტურის დარგის მუშაეები არ
გინებენ პასუხისმგებლობას. მართალია, ზო-
გი მათგანი მწვავედ განიცდის არსებულ ფაქტს,
მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავს. მიუხედა-
ვად იმისა, რომ გვაქვს ყველა პირობა, რათა
ქართული დრამატურგია სათანადოდ გამო-
იყურებოდეს, ჩვენ ვერ ვაღწევთ ვერაფრით
წარმატებას, არა გვაქვს ისეთი ნაწარმოებ-
ნი, რომელიც მოსაწონი გახდება მაყურებ-
ლისათვის. მე ვფიქრობ სინტერესო და
საჭირობოროტო თემა ბევრი მოიძებნება, მაგ-
რამ ამაზე ფიქრია საჭირო, თემას მოძებნა
უნდა. რასაკვირველია, მწერლები თბილის-
ში ჯდომით ვერაფერს ვერ შექმნიან. თუ
საკუთარი თვლით არ ნახეს ცხოვრება, არ
იმოგზაურებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა
კუთხეში, არ გაეცნენ ხალხს.

სპექტაკლების თემად აღებული უნდა იყოს
თანამედროვე ადამიანის ცხოვრება და შე-
მოქმედება, ხოლო რაც თეატრის შემოქმე-
დებით კოლექტივს შეეხება, მან თანამედ-
როვობის ამსახველ სპექტაკლს უნდა მოა-
დომოს მთელი გულსყუერი, მე არ ვარ იმის
მომხრე, რომ დავდგათ ბევრი ცუდი ხარისხის
პიესები, საჭიროა დავდგათ ცოტა, მაგრამ
შეღარებით სხვებთან უფრო კარგი. ბევრი

ცუდი პიესის დადგმას ის შედეგი მიუყვ-
რობს მაყურებელმა თეატრისადმი ინტერეს-
დაკარგა. თუ ჩვენ წელს წარმოვადგინეს-
20 პიესა, აქედან შევარჩიოთ 4—5 ძეღა-
რებით უკეთესი პიესა და ის განახოთ მაყურებ-
ბელს, მხოლოდ დავდგათ ისე, რომ მოსაწო-
ნი იყოს.

თეატრებისათვის საჭირო პიესის ავტორი,
პირველ რიგში, კარგად უნდა იცნობდეს
ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას, კოლმეურნე-
ობას, ქარხანას, იმ სფეროს, რის შესახებაც
ის წერს. ყველაფერი ეს მან კარგად უნდა
იციოდეს, თორემ ქვის ხანის ადამიანის აღ-
წერა არც ერთ მწერალს არ გაუჭირებდა,
რადგან მას არც მწერალი იცნობს და
არც მაყურებელი. თანამედროვე ადამი-
ანის დახასიათებაში შეცდომის დაშვება კი
მტკივნეული გახდება მაყურებლისათვის.

არც თეატრალური კრიტიკა დგას სათა-
ნადო სიმაღლეზე. ახლად დადგმულ სპექ-
ტაკლებს ზოგი აგინებს, ზოგი აქებს, ზოგი
კი თავს იკავებს — ზოგ კრიტიკოსს არ უნდა
ვინმეს აწყენინოს და თავს იკავებდეს მკაცრი
კრიტიკისაგან.

მ. ჟღენტმა კვლავ დაუჭირა მხარი წამო-
ჭრილ საკითხს თეატრალური განხილის დაარ-
სების შესახებ. მართალია, გვაქვს ჟურნალი
„საბჭოთა სელოენება“, მაგრამ ამ ჟურნალ-
ში არ შეიძლება ფართო შემოქმედებითი
დისკუსიის გაშლა, რადგან ერთ წერილს
თუ ესა დაიშვებენ, მისი პასუხი რ თვის
შემდეგ დაიბეჭდება. სხვა ვაზეთში კი მხო-
ლოდ გარკვეული რიცხვი სტრუქციონებისა
იბეჭდება. ეს კი საქმისათვის მეტად საზიან-
ოა, რადგან ზოგჯერ შემოქმედებითი დის-
კუსიის გაშლა საჭიროა. ამის შესაძლებლო-
ბა კი მხოლოდ მაშინ გვექნება, როდესაც
თეატრალურ ხელოვნებას საკუთარი ბეჭდვი-
თი ორგანო ექნება.

სიტყვაში გამოვიდნენ აგრეთვე რესპუბ-
ლიკის სახალხო არტისტი ი. შველდიძე,
ლიტერატორი ა. ბეგაშვილი.

სამოლოოდ სიტყვა წარმოსთქვა მომხსენე-
ბელმა აკ. დვალისვილი. მან აღნიშნა, რომ
ეთანხმება პლენუმზე გამოსულ ამხანაგებს იმა-
ში, რომ საჭიროა მკიდრო ურთიერთკავშირის
დამყარება დრამატურგებსა და მწერლებს
შორის. აგრეთვე იმედი გამოსთქვა, რომ
კულტურის სამინისტროსთან შექმნილი სარე-
პერტუარო საბჭო გაშლის თავის მუშაობას და
პრაქტიკულად დაეხმარება თეატრების კო-
ლექტივებს.




განაგრძობს მუშაობას

სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს შემადგენლობა: აკადემიკოსები გ. ახვლედიანი და ვ. თოფურია, ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორები შ. ძიძიგური და დ. ჯანელიძე, დოცენტები მ. მრეველიშვილი და ბ. ნიკოლაიშვილი, საქ. სსრ სახალხო არტისტი ც. ამირაჯიბი, 1963 წლის ნოემბრის თვეში ეწვია ქალაქ თელავის ორჯონიკიძის სახ. სახელმწიფო დრამატიულ თეატრს. ინახულა ორი სპექტაკლი: ნ. დუნბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“ და ლევან სანაიძის „მედია“. ამის შემდეგ თელავის სახელმწიფო თეატრის დასთან ერთად ჩატარდა სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს სხდომა. აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა აღნიშნა, რომ სასცენო მეტყველების მეთოდურმა საბჭომ თავისი მუშაობის პროგრამა ჩამოაყალიბა და გამოაქვეყნა თეატრალური საზოგადოების ჟურნალ „მომბისი“ 1963 წლის პირველ ნომერში, სადაც ნათქვამი იყო, რომ სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭო მოითხოვს როგორც დრამატურგებისგან, ასევე მსახიობებისგან, რათა ქართული ენა და სასცენო მეტყველება სათანადო სიმაღლეზე იდგეს. აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა აღნიშნა, რომ თელავის თეატრის სპექტაკლების ნახვით მან დიდი სიამოვნება განიცადა, ნახა ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის შედეგი. სასცენო მეტყველების თვალსაზრისით ორ შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ სპექტაკლებში მსახიობთა მეტყველება აბსოლუტურად უნაკლო იყოს, მაგრამ განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს სპექტაკლ „მედიას“ სასცენო მეტყველება. გარდა მცირეოდენი ენობრივი შეცდომებისა, რომელიც უფრო დრამატურგის ბრალი უნდა იყოს, ვიდრე მსახიობის, ეს სპექტაკლი მეტყველების თვალსაზრისით მაღალ ლიტერატურულ დონეზე დგას.

აკად. გ. ახვლედიანმა ყურადღება დაუთმო მსახიობის შემოქმედებაში იმ მომენტს, რომლითაც მსახიობის თამაშს ბუნებრიობა უნდა ახლდეს. მსახიობს უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ის მსმენელთათვის ლაპარაკობს.

შემდეგ აკადემიკოსმა ახვლედიანმა ერთგვარი პარალელი გაავლო მარჯანიშვილის სახ. თეატრსა და თელავს თეატრის სპექტაკლების „მე ვხედავ მზეს“ შორის და აღნიშნა, რომ ზოგაერთი ცვლილება, რომელიც თელავის სპექტაკლში შეუტანია რეჟისორს, მიზანშეწონილია, მაგრამ თელავის სპექტაკლის მეტყველებაში არ არის დაცული ერთი დონე ენის კოლორიტსა და კოლორიტიდან სალიტერატუროენაზე გადასვლის მხრივ, ამ მხრე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მსახიობი ნ. დვისაძე სოსიას როლში. მან გვჩვენა სახის ენობრივი ადგილობრივი კოლორიტი დასაწყისში და შემდეგ კი მთელი როლი ლიტერატურულ ენაზე წაიყვანა, ნ. დვისაძემ იცის, რომ თამაშის დროს იგი უნდა ლაპარაკობდეს მსმენელთა გასაგონად. ამ სპექტაკლში მომხიბვლავი იყო აკვირინეს როლში მსახიობი ი. შუბთორძე, კარგი იყო ხატვას როლის შემსრულებელი მსახიობი ნ. არავიაშვილი, რომლის მეტყველება სრულიად უნაკლო იყო. საქ. სსრ დამსახურებული არტისტის ალ. კუპატაძის მეტყველება ნიმუში იყო მკაფიობისა.

სასცენო მეტყველების მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სპექტაკლი „მედია“, რომელშიაც სიტყვიერი მასალის წარმოთქმა შესანიშნავად მოდიოდა, ოსი გამოცდილი სიამოვნებით ვუყურებდით მოქმედებას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თელავის თეატრის სპექტაკლებს აქვთ რიტმულობის გარკვეული შეგრძნობა. აქ სრულიად გარკვეულია მოქმედების დასაწყისი და დასას-



რული, სასურველი იქნება სპექტაკლი „მედია“ თბილისის მთავრებელს ვუჩვენოთ. სასამართლოა, რომ თელავში არის დასი, რომელიც იბრძვის მძალმხატიერული თეატრისათვის. თეატრს ჰყავს კარგი მსახიობები, როგორებიც არიან თ. ბურბუთაშვილი, ვ. ჩელთისპირელი, პ. ახლელინი და სხვები.

დოცენტმა მალაქო მრეგლიშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ სასცენო მეტყველების საბჭო ორი მიმართულებით აწარმოებს მუშაობას, — ერთია ენის სიწმინდისა და მეორე მეტყველების სიწმინდის დაცვა.

მან გაამხავილა ყურადღება იმაზე, რომ თელავის თეატრში არიან მსახიობები, რომელთა მეტყველება შეიძლება სანამეუშოდ მივიჩნიოთ. ასეთები არიან თ. ბურბუთაშვილი და ვ. ჩელთისპირელი, მაგრამ არიან ისეთი მსახიობები, რომელთაც ბევრი რამ უკრძაბათ მეტყველებაში. სასურველი იქნებოდა თეატრში გამოიყოს წამყვანი მსახიობები, რომლებიც აწარმოებენ სხვა მსახიობებთან მეტყველების სრულყოფისათვის ვარჯიშს. ასეთ წამოწყებას ჩვენც გაუწევთ დახმარებას, შეიძლება მოეწყოს სემინარები, მოგაწოდოთ მეტყველების ვარჯიშები და ისეთი საშუალებებით კიდევ უფრო ხელს შევუწყობთ მეტყველების კულტურის ამაღლებას.

სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“ უფრო კუთხური კილოების ნარეგს წარმოადგენდა, ვიდრე ერთ გარკვეულ გუროს დიალექტს. საჭიროა, რომ სცენაზე ერთიანი სალიტერატურო ენა დაფუძნდეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სცენაზე ენის კოლორიტი'ის ვამოყენება უარყოფით კოლორიტს სწორი ხმარება ესაქიროება.

სპექტაკლ „მედიაში“ გავახანაო წამყვანი მსახიობების შესანიშნავმა მეტყველებამ. საერთოდ ეს სპექტაკლი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინაიდან მასში არის მოცემული თანამედროვეობის შესატყვისი აქტებები. მაგრამ ამ სპექტაკლში ზოგიერთი მსახიობის მეტყველება, მაგ. მსახიობების მ. მდიენი-შვილისა და ბ. მარტიაშვილისა, სუსტ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგანაც ისინი მეტყველებაში ვერ სცილდებიან კილოკავის ინტონაციურ გამოსახულებას.


კრესას როლის შემსრულებელი მსახიობი ეთ. ავახაშვილი აჩქარებულად მეტყველებს, მის მეტყველებას მეტი სისხიდავე და უბრალოება ესაქიროება.

დოცენტმა მ. მრეგლიშვილმა თავისი გამოხატვა დაამთავრა ილ. ჭავჭავაძის სიტყვებით „მეტყველება სცენაზე ძალიან რთული სწავლაა და ამ სწავლას დასწავლა ესაქიროება.“

დ. ჯანელიძემ ხაზი გაუსვა იმ სასიხარულო ვარემოებას, რომ თელავის თეატრი თანამედროვეობის დიდი მოყვარული ხჩანს. იგი ცხოვრობს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ცხოვრებით, მისი აზრით, თელავის თეატრის ისეთი კორექტივები შეაქვს თავის სპექტაკლებში, რაც ვერ შეახერხებს თბილისის თეატრებმა. სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“ იდეურად გამართულია, რის გამოც უფრო ჯანსაღად გამოიყურება თვით პიესაც. ეს შეიხება დათიკოს სახეს, რომელიც პიესაში ბნელად და ერთი ფერით არის დახატული. თელავის თეატრში კი ეს სახე აღამაინურად არის გაღწევეტილი. ასეთი მიდგომა ამდიდრებს პიესას. ენობრივ საკითხში საყვედური ეთქმის ამ პიესის ავტორსაც და თეატრსაც. საერთოდ სცენიდან არ უნდა ისმოდეს მიმართვები „ვირიშვილი“, „ძალიშვილი“. და მსგავსი სალანდავი სიტყვები. ენაში მოხდა დიდი ცვრები და მოვალენი ვართ სცენაზეც ვუჩვენოთ უკეთესისაკენ მიმართება, სცენიდან უნდა გავდევნოთ უწამლო სიტყვები. ცნობილია ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძემ არ დაინდო ივანე მაჩაბელი და მას მიუთითა: „თქვენ რომ კომედია თარგმნეთ, ისეთი სიტყვები იკადრეთ, რაც ჩვენ დარბაისლურ ოჯახს არ შეეფერება“. ამ მხრივ სიფრთხილედ ვგვმართებს; ქუჩებში ისმის უწამლო სიტყვები და თუ იგი სცენას ავტორიტეტით არ დავემეთ, თუ გზა არ გადავულობეთ, ენა წაიბილწება.

სასცენო მეტყველებაში კუთხურობის საკითხიც რთულია: ჩვენი დრამატურგის ჩამორჩენილობა იმაში არის, რომ დაკანონებულად გვიჩვენებენ ჩვენი დროის აღამაინის მეტყველებას. ხელოვნებაში უნდა აისახოს ის გარდატეხა, რომელიც მოხდა მეტყველებაში საყოველთაო სწავლების შემოღებისა და დიდი კულტურული ცვრების წყალობით. აღამაინის მეტყველებას რომელიმე კუთხის კოლორიტი შეიძლება დიდხანს შერჩეს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ერთიანი ენისა და მეტყველებისათვის. ეს პირველ რიგში დრამატურგისაგან უნდა მომდინარეობდეს.

სასამართლოა, რომ ქართული თეატრის



საქმე ამჟამად იჭედება თელავშიც, გორშიც, ბათუმშიც, ქუთაისშიც და თეატრის მკოლნების საქმე ისრაელ თბილისის თეატრები არ არის. ის რაც თელავში ვნახეთ, არის გარკვეული წვლილი ჩვენს ხელოვნებაში.

თელავის თეატრის სპექტაკლი „მედია“ სასიამოვნო მოვლენაა, რომელიც სცილდება ჩვენს შთაბეჭდილებას. საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობი თინათინ ბურბუთაშვილი დიდი ძალით იცავს კოლხელი ქალის ღირსებას. პიესის პირველი ნაწილი დიდაქტურად არის დაწერილი და მოდუნებულია, მაგრამ იქ, სადაც ეს დრამატიზმი ცოცხლად და მართლად ვითარდება მოქმედებაში, მსახიობებიც კარგად გამოიყურებიან.

ფილოლოგიური შეცნირების დოქტორმა შ. ღიბიჭუაშვილმა ილაპარაკა სასცენო მეტყველებაში ხმის ინტონაციის დიალექტიკური თავისებურებების დაიქვსებაზე. გმირის მეტყველება რომ მთლიანად აყვანილი იყოს სალიტერატურო ენამდე, მაშინ იგი სქემატური დარჩება. საჭიროა დიალექტის გამოყენების ზომიერება, რაც მწერლის ალღოსა და ტაქტზეა დამოკიდებული. მაგრამ სკენაზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი დიალექტების აღრევას. ეს კი ემჩნეოდა მსახიობ გ. პაპიშვილს ბეჟანას როლის შესრულების დროს.

საქ. სსრ სახალხო არტისტმა ც. ამირაჯიბმა აღნიშნა, რომ ის არ მოელოდა, რომ თელავში ასე კარგად მეტყველებენ სკენაზე. ამ ბოლო დროს შეინიშნება, რომ საერთოდ, თეატრშიაც და ხალხშიაც, მეტყველების ხარისხი ძალიან დაეცა. ქართულ მეტყველებაში ისმის სხვა ენების ძლიერი გავლენა და იგი შეიბღობა. ამის გამოსასწორებლად ალბათ დიდი დრო იქნება საჭირო. სხვა თეატრებთან შედარებით თელავის თეატრის მეტყველება უკეთესია ალბათ იმიტომ, რომ იგი უფრო ახლა კახელი ხალხის მეტყველებასთან. საერთოდ კუთხურ ენაზე დაწერილ პიესებს დიდი ზიანი მოუტანს სასცენო მეტყველებისათვის. მსახიობებს დიალექტზე მეტყველება ერთი პიესიდან მეორეში ვალაპავო.

აკადემიკოსმა ვ. თოდუაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის თეატრის სპექტაკლების ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილება დადებითია, ამის მთავარი მიზეზი არის კოლექტივის სიყვა-

რული თეატრისადმი, ხელოვნებისადმი და აგრეთვე დიდი მუშაობის გამოხატულებით. მან ჩამოაყალიბა ზოგიერთი შენიშვნა, რომ ყურებულს თვალში ეცემა დეკორაციების სიმცირე და სიღარიბე. თეატრის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ ნანახ სპექტაკლებში სუსტი მსახიობი არ შეგვიჩინავს. სპექტაკლ „მედიას“ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და კარგია, რომ ის იღვებება მოწაფეებისათვის. ამ სპექტაკლში ხაზგასმულია სამშობლოს სიყვარული და ამ იდეით პიესა თავიდან ბოლომდე არის გამსჭვალული. ენობრივადაც ეს პიესა საკმაოდ დამაძაპოვებელია. თამაშის მხრივ თავის ადგილას დგას ყველა. მსახიობების ბურბუთაშვილისა და ჩხელთისპირელის მეტყველება სანიშნუა. ერთი მინც უნდა შევნიშნოთ. როდესაც სკენაზე გადმოცემულია მძიმე მომენტები, რაც სიტყვებითაც უნდა გამოიხატოს, მსახიობების მოჭარბებული განცდების გამო სიტყვები იხშობა და იკარგება. კიდევ უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ საერთოდ თეატრში დიდი ტრავმების დროს მსახიობის ფიზიკური მდგომარეობა გამოიხატება მიწაზე დაცემით. ისმის ასეთი კითხვა: რამდენად გააზრთლებულია მსახიობის მიწაზე დაცემა, როდესაც სინამდვილეში დიდი განცდის დროს ადამიანი მიწაზე არ ეცემა.

მეორე სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“ შეინიშნება მარჯანიშვილის თეატრის გავლენა ბეჟანას როლის გახსნაში. რატომ არის აუცილებელი ამ როლის შემსრულებელ მსახიობისათვის დაფუთილი ტანისამოსის ტარება და რა საჭიროა, რომ იგი ენას უკიდებდეს.

მიუხედავად ზოგიერთი შენიშვნისა ცხადია, თელავის თეატრს აქვს შესაძლებლობა, რომ თავისი დამოუკიდებელი სახე ჰქონდეს. ბეჟანას დაჭრა და სიკვდილი თელავის თელავის თეატრის სპექტაკლში მართლაც და ადამიანური იყო.

ენის სისწორის საკითხს მსახიობებს ვერ მოვთხოვთ, ვინაიდან მსახიობებს პიესა უჭირავთ ხელში და პიესიდან სიტყვების ამოღების საშუალება მათ არა აქვთ. საქმე იმაშია, თუ როგორ წარმოთქვამენ მსახიობები პიესის ტექსტს და როგორ მოაქვთ ეს ტექსტი მაყურებელამდე. სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“ დიალექტების აღრევა მოსალოდნელი იყო, ვინაიდან შემსრულებლებში გურული

არავინ იყო და ინტონაციით მსახიობს როგორც წარმოუდგენია გუროული კილო, ისე მეტყველებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თელავის თეატრში გუროული კილო ნაკლებად ყოფილიყო გამოყენებული მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლთან შედარებით. მეტყველების კოლორიტის მისაცემად საქმარისია მცირეც. ასე, მაგალითად, ილია ქავჭავაძის ლუარსაბი მეტყველებაში კუთხურ გამოთქმებს ხმარობს, მაგრამ ტექსტის უმეტეს ნაწილში ლუარსაბს ლიტერატურული მეტყველება აქვს. ილიამ არ დატვირთა გმირის მეტყველება კუთხურობით. მწერლის ასეთი ხერხი დღევანდელი დრამატურგებისათვის არ იქნებოდა ცული. დრამატურგმა და შემსრულებელმა ზომიერება უნდა დაცვან. სასცენო მეტყველების მსმენელამდე მიტანა კი აუცილებელია. მსახიობმა უნდა გაითვალისწინოს მანძილი სცენიდან უკანასკნელ სკამამდე, როდესაც მსახიობს მაყურებელამდე არ დაჰყავს მეტყველება, მაშინ დარბაზში ხმაური ჩნდება, რაც ხელს უშლის თვით მსახიობს თამაშის დროს.

ბოლოს აქედემიკოსმა ვ. თოფურიაშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენ კმაყოფილი მივლივართ შედეგიდან, ჩვენ ვნახეთ არა პიროვნებალური თეატრი, არამედ ნამდვილი თეატრი, რომელიც, თუ მას პირობები შეექმნება, უქეთესი გახდება, ვიდრე ახლა არის. საკუთარი სახე, თანამედროვეობის გრანობა, აქეთვე უნდა მისწრაფოდეს და მისწრაფის კიდევ თელავის თეატრი.

აღნიშნულ სხდომას დაესწრო აგრეთვე თელავის ინტელიგენციის წარმომადგენელი დოცენტი ალ. გვენცაძე, რომელმაც თქვა, რომ სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს ასეთი შემადგენლობით თელავში ჩამოსვლა არის ეროვნული ღირსების ფაქტი. თელავის თეატრში დღეიდან კიდევ უფრო გამაზვიდდება ყურადღება სასცენო მეტყველების კულტურის ამაღლებაზე.

სხდომაზე გამოვიდა აგრეთვე საქ.კ.პ. თელავის რაიკომის მდივანი ამხ. გ. მაღრაძე, რომელმაც თელავის მშრომლების და ინტელიგენციის სახელით მადლობა გადაუხადა თეატრალურ საზოგადოებას და მის სასცენო მეტყ-

ველების მეთოდურ საბჭოს. მან იმედი გამოთქვა, რომ თელავის თეატრის კოლექტივი სწორად გაიგებს დღეს გამოთქმულ აზრებს და თელავის თეატრი მომავალში უფრო კარგ და საინტერესო სპექტაკლებს შექმნის. დღევანდელი თათბირი ნამდვილი ეროვნული საქმეა. სწორი იყო შენიშვნა, რომ სცენიდან უნდა განიდევნოს ვულგარული გამოთქმები, და ეს შენიშვნა გათვალისწინებული იქნება უახლოეს დროში. ასეთი ვულგარობები საჭიროა განიდევნოს აგრეთვე მწერლობიდანაც, ჩვენი თხოვნა იქნება, რომ სასცენო მეტყველების საბჭო მომავალშიაც ხშირად ეწვიოს თელავის თეატრს, თვლით გადავალს თეატრის შემოქმედებით მუშაობას და გარკვეული დახმარება გავცივოს.

სხდომაზე გამოვიდა თელავის თეატრის მსახიობი საქ. სსრ დამსახურებული არტისტი პ. ახვლედიანი. მან თქვა, რომ დღევანდელი სხდომა თელავის თეატრის არტობაში ისტორიულ მომენტად უნდა ჩათვალოს. ეს ჩვენთვის დიდი მოვლენა იყო და თეატრალურ საზოგადოების მუშაობაში კარგი ნაბიჯია. ეს საქმე ხელს შეუწყობს ჩვენი თეატრალური კოლექტივისა და განსაკუთრებით მისი ახალგაზრდობის ზრდა-განვითარებას. მიღებულ შენიშვნებს აუცილებლად გათვალისწინებთ ჩვენს მუშაობაში.

დასასრულს თეატრის დირექტორმა, საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა ალ. კუზატიძემ თქვა, რომ მაღლაიერების გრძობით არის გამსჭვალული და სთხოვს სასცენო მეტყველების მეთოდურ საბჭოს, რომ ყურადღება არ მოაკლოს თელავის თეატრს. სპექტაკლის გამოსვლამდე ჩვენ ვნიშნავთ ვასინჯვას და ამ პერიოდში სასცენო მეტყველების მეთოდურმა საბჭომ რომ მოავლინოს თავისი წარმომადგენელი, კარგი იქნება. ეს დაგვეხმარებოდა სპექტაკლების ენობრივი ნაკლის გამოსწორებაში. გარდა ამისა სასურველია, რომ სასცენო მეტყველების პედაგოგები მოავლინოს თეატრალურმა საზოგადოებამ მსახიობებთან ერთდროული სემინარების ჩასატარებლად. ბოლოს მან აღნიშნა, რომ თელავის თეატრი აპრილის თვეში ჩამოსვლას აპირებს ქ. თბილისში.



გასტროლები თბილისში

იმ თეატრებს შორის, რომლებიც გასულ წელს სავასტროლოდ თბილისს ეწვივნენ, მოსკოვის თოჯინების სახელმწიფო თეატრიც იყო. თეატრმა თბილისის ნორჩ მყურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო სპექტაკლები: „მალჩიშ-კიბალჩიშ“, „ლომის კერძი“, „საუცხოო დღე“, „დანაშაული და სასჯელი“, „ორმოკ“, „კუკურეკუ“ და სხვა.

გასტროლების დამთავრების შემდეგ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო ამ თეატრის სავასტროლო სპექტაკლების განხილვა-დისკუსი. დისკუსიი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის პ.გ. მდივანა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ჩხეიძემ.

— საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, — განაცხადა დ. ჩხეიძემ, — ტრადიციად აქვს სავასტროლოდ ჩამოსული თეატრების კოლექტივებთან შეხვედრა და მათი სპექტაკლების შესახებ აზრთა გაზიარება, როგორც თეატრის შემქმნელ კოლექტივთან, ასევე მყურებელთან. დღევანდელ ჩვენს შეხვედრასაც ასეთი მიზანი აქვს. რა თქმა უნდა, ჩვენ შევეცდებით ვიყოთ ობიექტური და აღვნიშნოთ ამ თეატრის როგორც დადებითი მიღწევები, ისე ნაკლიც და იმედი გვაქვს, თეატრის კოლექტივი გაიზიარებს ჩვენს შენიშვნებს. შემდეგ დ. ჩხეიძე მიხსენებისათვის, მოსკოვის თოჯინების თეატრის სავასტროლო სპექტაკლების შესახებ, სიტყვას აძლევს თეატრმცოდნე ელენე კვირკელიას.


— მოსკოვის თოჯინების თეატრს, — აცხადებს ამხ. ელენე კვირკელია, — არა ს. ობრასკოვის ხელმძღვანელობით არსებულს, არამედ მეორე თოჯინების საქვალაქო თეატრს, ე. ო. იმ თეატრს, რომლის სპექტაკლებისაც დღეს ჩვენ აქ ვინილავთ, არც ისე-

თი დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ მან თავის არსებობის მანძილზე გამოავლინა საკუთარი სახე.

შემდეგ ამხ. კვირკელია შეეხო თეატრის რეპერტუარს, სპექტაკლების მხატვრულ დონეს და მათ მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებას. მომხსენებელი ძიოთაღში ეთანხმება თეატრის მიერ არჩეულ შემოქმედებით გზას და აღნიშნავს, რომ თეატრის შემოქმედებაში დადებითად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი მიმართავს მხატვრული სიტყვის ოსტატებს: მ. ზოშჩენკოს, არკადი გაიდარს და სხვა მწერლებს.

— ერთი შეხედვით, — აცხადებს მომხსენებელი, — გეგონებათ, რომ ზოშჩენკოსა და არკ. გაიდარის მიერ 30 წლის წინად შექმნილი ნაწარმოებები თითქოს, დღევანდელი მასთან შორს დგას. მაგრამ თეატრის ხელმძღვანელობისა და მისი შემოქმედი კოლექტივის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ მიერ შექმნილი სპექტაკლები მ. ზოშჩენკოს „საუცხოო დღე“, „დანაშაული და სასჯელი“, არკ. გაიდარის მიხედვით „მალჩიშ-კიბალჩიშში, დღესაც აქტუალურად ჟღერს. ეს სპექტაკლები თავის მხატვრული და ტექნიკური შესრულებით უთუოდ მაღალ დონეზე დგას. ასევე კარგია სპექტაკლების დეკორაციები და ხმოვანი გაფორმება. მართალია, თეატრმა ზოგიერთი მოქმედი პირიც მიუშატა, როგორცაა მაგ. მევზოვე-ყარაული, ძალი და აგრეთვე ნიღბები, მაგრამ უფრო შეკრული და საინტერესო გახდა მათი სპექტაკლები.

გადადის რა მომხსენებელი დანარჩენი სპექტაკლების შეფასებაზე, იგი ამბობს, — რაც შეეხება სპექტაკლს „ლომის კერძი“, იგი დაწერილია სახუმარო სტილით და ამავე დროს იმყარება ცხოვრებისეულ დეტალებს. ეს სპექტაკლი გადაწვეტილია მეტად



ორიგინალურ ფორმაში. უთუოდ აღსანიშნავია ამ სპექტაკლის მხატვრული გაფორმებაც.

— მიუჭირებდა, — დასდენს ამხ. კვიციანი, ის გარემოება, რომ როგორ შეიძლება, სხვადასხვა სახისა და ხასიათის თოჯინების ერთად წარმოდგენა, მაგრამ აქაც თეატრის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი მან ბრწყინვალედ გადაჭრა. სცენაზე ჩვენ ვხედავთ თოჯინების მრავალფეროვან ოჯახთა წარმომადგენლებს, ეს კი მეტად საინტერესო სანახაობად ხდის სპექტაკლებს.

განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს სპექტაკლი „ორეშოკი“, აცხადებს ამხ. კვიციანი, — ეს არის ნამდვილი, თოჯინების თეატრისათვის დამახასიათებელი სპექტაკლი. ეს სპექტაკლი წარმოდგენილია, როგორც მუსიკალური კომედია. „ორეშოკი“ კარგი საბავშვო სპექტაკლია და იგი დამსახურებულად სიყვარულითაც სარგებლობს ნორჩ მაყურებლებში.

ჩემზე მეტად ძლიერი შთაბეჭდილება დასტრავა სპექტაკლმა „მოლიჩი-კიბაღიშა“, იგი გმირული დრამაა, რომელიც თეატრმა შესანიშნავად დასძლია და ნორჩი თაობისათვის ნამდვილ მიღწევარ სპექტაკლად წარმოადგინა. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ კიბაღიშის შემადრწუნებელი სიყვდილი ნორჩებზე იმდენად წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზიდან ისინი მოლუშული სახეებით გამოდიან.

არ შემიძლია თეატრის კოლექტივის არ მიფუთითოთ, — ამბობს დასასრულს ამხ. კვიციანი, — ერთი, ჩემის აზრით მეტად საჩოტარი, გაგრეობებაზე, სახელდობრ, მსახიობები ხშირად გამოდიან ფარდის წინ და ყვებიან ტექსტს არა როგორც ცოცხალი თოჯინები, არამედ უკვე როგორც მსახიობები. ერთხელ და ორჯერ ეს შეიძლება მოხდეს, მაგრამ როცა მრავალჯერ მეორდება ასეთი, მაშინ თოჯინას ფასი ეკარგება. ეს კი სპექტაკლის საერთო შთაბეჭდილებაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

ამხ. ტ. კვიციანიას მოხსენების გარემო ვაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა, რეჟისორებმა: ჯ. მიქელაძემ, ო. ალექსიშვილმა და შ. კილოსანიძემ, მხატ-

ვარმა ირ. მდივანმა, თეატრმცოდნე გოგოლაშვილმა და თეატრის მთავარმა რეჟისორმა ბ. ი. აბლინიშმა.

— ილაპარაკა რა მოსკოვის თოჯინების თეატრის საგასტროლო სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე, მხატვარმა ირ. მდივანმა აღნიშნა, — მე ამ თეატრის სპექტაკლები წინადაც მინახავს მათსავე სტაციონარში, მაგრამ ახლა, როცა ვაღარებ დღევანდელ ნამუშევრებს, ვხედავ დიდ განსხვავებას. სჩანს, ამ მხრივ დიდი რეფორმა ჩაუტარებიათ როგორც სპექტაკლების მხატვრულ დახვეწაში, ისე მათი მხატვრული და ტექნიკური გაფორმების ღარგში. განსაკუთრებით მომეწონა სპექტაკლი „ორეშოკის“ გაფორმება. იგი მეტად საღა და ამავე დროს მაღალი გემოვნებითაა შესრულებული, რაც ესოდენ სიცოცხლის აძლევს პერსონაჟებს. გადადის ის ახმ. მდივანი სხვა სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე, განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს სპექტაკლს „მოლიჩი-კიბაღიშა“.

დეკორაციები, — აცხადებს ორატორი, — სპექტაკლში ისე მოქმედებენ, როგორადაც მოქმედებენ. მაგალითად ხეები კიბაღიშის დახვერტის დროს და სხვა. საერთოდ — თოჯინების თეატრში დეკორაციები კი არ უნდა იდგეს, როგორც მხოლოდ დეკორაცია, არამედ იგი ამავე დროს უნდა თამაშობდეს როგორც მსახიობი, მაშინ შეასრულებს იგი თავის ნამდვილ ფუნქციას, როგორც სპექტაკლის ერთ-ერთი კომპონენტი! თქვენს თეატრს, — ასკენის ამხ. მდივანი, — ძირითადში სწორი კურსი აქვს აღებული სპექტაკლებს გაფორმებაში. იმედი ამ გზას გააგრძელებთ და უფრო გააღრმავებთ.

— ილაპარაკა რა მოსკოვის თოჯინების თეატრის შემოქმედებით მუშაობისა და მისი რეპერტუარის შესახებ, რეჟ. ო. ალექსიშვილმა დასძინა, — თქვენ თეატრს ნამდვილად საკუთარი სახე აქვს გამოუმუშავებული. ეს კი ყველაზე მთავარი ა ყველა თეატრისათვის. თქვენ სპექტაკლებში აშკარად სჩანს, რომ თურმე თოჯინებს შეუძლიათ შეასრულონ როგორც გმირული ტრაგიკული, ისე კომიკური და სატირული როლები. ეს კი გაბედული ნაბიჯია წინ.

ამხ. ო. ალექსიშვილმა მაღალი შეფასება მისცა საერთოდ მოსკოვის თოჯინების თეატრის სპექტაკლების რეჟისორულ ნამუშევ-



რებს, ხოლო განსაკუთრებით კი სპექტაკლ „მაღნიშ-კიბალჩის“.

რეჟისორი შ. კილოსანიძე აღნიშნავს, რომ მასზე მოსკოვის თოჯინების თეატრის სპექტაკლებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ უფრო მეტ შთაბეჭდილებას დატოვებდა, რომ ისინი შესაფერის შერობაში ჩატარებულყო. შ. კილოსანიძე დასძენს, რომ დარბაზი, სადაც ამ თეატრის გასტროლები მიმდინარეობდა, სრულიად შეუფერებელი იყო თოჯინების თეატრისათვის.

დისპუტზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა თოჯინების ქართული თეატრის მთავარი რეჟისორი გ. მიქელაძე, მან თქვა: როგორც თოჯინების თეატრის რეჟისორი და ხელმძღვანელი, კარგად ვიცნობ ჩვენს მოსკოველ კოლეგებს. ადრეც შინახავს რეჟისორ ბ. ი. აბლინინის დაღმები—მაიაკოვსკის „მაღლინჯო“ და ე. შვარცის „თოჯინების ქილაქი“. გულწრფელად მინდა ვითხრათ, რომ მოსკოვის თოჯინების თეატრის სპექტაკლებმა მოლოდინს გადააჭარბა. მათი სპექტაკლები საესტეტიკო პასუხობენ დღევანდელ მოთხოვნილებას მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

შემდეგ განიხილა რა ცალკე-ცალკე სპექტაკლები, რეჟისორმა გ. მიქელაძემ მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლში „დანაშაული

და სასჯელი“—რეჟისორის და მხატვრის ნამუშევრებს. რაც შეეხება აქტივობაში მყოფებს—განაცხადა მიქელაძემ—მაქვს შენიშვნა: შეიძლება ეს იყოს უფრო ტექნიკური მხარე, მაგალითად, ზოგიერთ თოჯინებს აჩვენებენ საქამრემდე. არ ვიცი, ამაში ვინ არის დამნაშავე, მსახიობი-შემსრულებელი, თუ რეჟისორი? ერთი კი ცხადია, რომ არასასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს ეს გარემოება. არ შეიძლება არ აღინიშნოს თეატრის შემსრულებელთა ტემპერამენტი, აქამდე ჩვენ ქართველებს და საერთოდ კავკასიელებს გვიცნობდნენ, როგორც ტემპერამენტთან აღამიანებს, მაგრამ მე ვიტყვი, რომ თქვენ ამ მხრივ ჩვენ არ ჩამოვგრჩებით. საერთოდ კი თქვენმა სპექტაკლებმა ჩემზე მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა მ. გოგოლაშვილმა ილაპარაკა რა მოსკოვის თოჯინების თეატრის საგასტროლო სპექტაკლებზე. აღნიშნა მათი შესრულების მაღალი დონე, მაღლობა გადაუხადა თეატრის კოლექტივს იმ სიამოვნებისათვის, რაც ამ თეატრმა თბილისელ ნორჩ-მამულეობებს მოუტანა.

დასასრულ საპასუხო სიტყვით გამოვიდა მოსკოვის თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი ბ. აბლინინი.

175 წელი დიდი რუსი მსახიობის მ. ს. შჩეპკინის დაბადებიდან

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურმა ინსტიტუტმა ა. წ. 2 დეკემბერს ფართოდ აღნიშნეს დიდი რუსი მსახიობის და თეატრალური მოღვაწის მიხეილ სიმონისძე შჩეპკინის დაბადების 175 წელი.

საზეიმო სხდომაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა დოცენტი ვიქტორ გუგუშვილი. მოხსენებით თემაზე — „მიხეილ სიმონისძე შჩეპკინი რუსული სასცენო რეალიზმის ფუძემდებელი“ გამოვიდა დოცენტი ნადეჟდა შალუტაშვილი.

მომხსენებელმა ილაპარაკა შჩეპკინის სასცენო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე და შენიშნა, რომ მ. ს. შჩეპკინს არ დაუმთავრებია უნივერსიტეტი, მაგრამ ეპოქის მძლავრ მაჯისცემას იგი კარგად გრძნობდა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოწინავე ადამიანებთან. მეგობრობდა პუშკინს, გოგოლს, ბ. მილენსკის, გერცენს, გრიბოიედოვს, ლერმონტოვს, შევჩენკოს და სხვებს.

თავისი მსოფლმხედველობით შჩეპკინი პროგრესული პიროვნება იყო. თვითონ ყოფილი ყმა გლეხი მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიმუღვილით იყო გამსჭვალული ბატონყმობის მიმართ, ყოველ მოხერხებულ შემთხვევას იყენებდა გლეხთა განთავისუფლებისაკენ მოწოდებისათვის. ამიტომ მმართველი წრეები აღმატებულ უყურებდნენ ნაყმევ, მსახიობ-მოღვაწის და საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ იგი დაყენებული.

მ. შჩეპკინი მსახიობისაგან მოითხოვდა დიდ ეთიკურ სიწმინდეს, მოქალაქეობრივობას, დაუშვებლად მიიჩნდა ზერეულ, არასერიოზული დამოკიდებულებას საქმისადმი, რაც მან მთელი თავისი ცხოვრების წინააღმდეგ აღიარა.

მ. ს. შჩეპკინი საკუთარი გზით მიდიოდა ხელოვნებაში. ბუნებრივი ნიჭი, მხატვრული სიმართლისაკენ სწრაფვა, მახვილი გონება და ცხოვრებაზე დაკვირვების საოცარი უნარი არ აძლევდნენ მას საშუალებას დაკმაყოფილებულიყო პარადული სიყალბისა და გარეგნული გამოხატველობის ხელოვნებით. ბევრი შრომა დასჭირდა დიდ მსახიობს, რათა გაეღრმავებინა თავისი შესრულების სიმართლე. საკუთარი პრაქტიკიდან იგი მიხვდა: „იმისათვის, რომ იყო ბუნებრივი, პირველ რიგში, უნდა ილაპარაკო საკუთარი ხმით და გრძნობდე, ვანიცდიდე საკუთარი გრძნობით“. ეს იყო აღმოჩენა რუს მსახიობთა ხელოვნებაში.

შემდეგ თავის მოწოდებებს შჩეპკინი არა ერთხელ მიუთითებდა იმაზე, რომ სცენაზე მსახიობი უნდა განდგეს ადამიანი, რომელსაც წარმოსახავდა.

თავის სწავლებაში რეალიზმისაკენ დიდი მსახიობი წინააღმდეგი იყო ნატურალიზმისა. წარმოსახვის მსახიობს, ნატურალისტს, სინამდვილის იმიტატორს შჩეპკინმა დაუპირისპირა განცდის შემოქმედი, ადამიანის წინააღმდეგ ცხოვრების კანონების მცოდნე, ღრმად იდუარე საძიარელებზე მდგომი წინააღმდეგობის შემოქმედი.



შჩეპკინი, როგორც თავის მოწაფეებისაგან, ისე საკუთარი თავისაგან მოითხოვდა ცხოვრებისეულ სინამდვილის ვაბედულ ხორცსავე ასახვას.

მომხსენებელი შეჩერდა შჩეპკინის მიერ შექმნილ სცენურ სახეებზე რუსულსა და უცხოურ რეპერტუარში.

იმ შორეულ წარსულში მიხილ შჩეპკინმა შექმნა საკუთარი სისტემა აქტიორული თამაშისა, სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო მეორე დიდი რეფორმატორის კონსტანტინე სერგის ძე სტანისლავსკის სისტემას და მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიერ შემოქმედებით პრაქტიკას.

მ. შჩეპკინი მსახიობისაგან მოითხოვდა, რომ იგი „ჩამძვრალიყო“ განსასახიერებელი გმირის ტყავში, შეესწავლა მისი იდეები, ფიქრები, მისწრაფებანი და საზოგადოება, რომელშიაც მისი გმირი ცხოვრობდა და მოქმედებდა.

მ. შჩეპკინი დიდ როლს აკუთვნებდა მსახიობის ხელოვნებაში რეგეტიციის, ანსამბლის, სცენურ ურთიერთობას.

მსახიობისაგან იგი მოითხოვდა ტიტანურ შრომას, დაუღალავ მუშაობას ყოველ დეტალზე. კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ერთხელ ნათამაშებ როლებს, როლებს, რომლებშიაც ასეთი დიდი წარმატებით სარგებლობდა. ერთი რაიმე ახალი შტრიხისათვის ხშირად სცვლიდა მთელ სცენებს. ამიტომაც იყო, რომ ყოველ სპექტაკლში იგი ახალი და უფრო სრულყოფილი იყო. ბუნებამ შჩეპკინი მაინცა და მაინც ბევრით არ დააჯილდოვა—მას სუსტი ხმა, არა მომხიბვლელი გარეგნობა („კვადრატული ფიგურა“), გადაჭარბებული გრძნობიარება ახასიათებდა, მაგრამ ეს „პასივი“ თავის შემოქმედებაში დიდმა შემოქმედმა თავდადებულმა შრომათა ვადალახა.

შემოქმედისაგან შჩეპკინი მოითხოვდა არა მიმბაძველობას, არა მექანიკურ განმეორებას არსებული შტამებისა, არამედ სრულ გარდასახვას.

მოსხენებაში ცალკე იყო გამოყოფილი საკითხი შჩეპკინის სხვა ერის წარმომადგენელთა მიმართ ღრმად მეგობრული დამოკიდებულებისა. დიდი რუსი მსახიობი პირველი იყო, ვინც რუსულ სცენაზე შექმნა ქეშმარიტად მართალი და არა კარიკატურული სახეები უკრაინელი ადამიანებისა, უბრალო

გლეხებისა, რომელთა ცხოვრებისეული კარგად იცნობდა.

მ. შჩეპკინმა დიდად შეუწყო ხელი საქართველოში დასის ჩამოყალიბების საქმესაც. მისი რჩეები იყო შედგენილი თბილისის დასი, რომლისაც მსახიობი დიდ საზოგადოებრივ ამოცანებს სახედა მოწინავე რუსული კულტურის პროპაგანდის საქმეში.

მომხსენებელმა დიდი ადგილი დაუთმო შჩეპკინის ცოცხალი ტრადიციების მნიშვნელობას თანამედროვე საბჭოთა რეალისტურ თეატრალურ ხელოვნებაში.

ვიგონებთ რა შჩეპკინს,—თქვა მომხსენებელმა,—იქნებ უფრო უნდა განვამტკიცოთ აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ ის ნაწარმოებები აყენებენ თეატრის, მსახიობის წინაშე შემდგომი განვითარების ამოცანებს, რომლებშიც ასახულია თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება.

შჩეპკინისთვის აქტიორული ნიჭი და შრომა ხელოვნებაში განუყოფელი იყო მოქალაქეობრივი გრობებისაგან. მოწინავე დემოკრატი, ხელოვნების ამოცანას ცხოვრებაზე აქტიურ ზეგავლენაში ხედავდა და სწორედ ეს თვისებები ანათესავებენ მას ჩვენს დროსთან.

მომხსენებელმა დამთავრა თავისი გამოსვლა სიტყვებით, რომ დღეს ჩვენი ხალხი უდიდესი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით ეგონებს დიდ შემოქმედს, სოციალიზმისა და კომუნისმის ეპოქის თეატრის დიდ წინამორბედს, დიდ მსახიობსა და დიდ მოქალაქეს.

თეატრალურ ინსტიტუტის სააქტო დარბაზი, რომელშიც მოხსენება ექნა წაკითხული, ლამაზად იყო მორთული. საკონცერტო განყოფილებაში გამოვიდნენ ინსტიტუტის სტუდენტები, მათ სპეციალურად ამ საღამოსათვის მოამზადეს პროგრამა დოცენტ ბ. ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით. მსახიობობო ფაკულტეტის სტუდენტებმა დაამუშავეს და წაკითხეს ნაწყვეტები მ. ს. შჩეპკინის, ბელნისკის, ა. გერცენის წერილებიდან, ქარველ მოღვაწეთა გამოთქმები თეატრის დანიშნულების შესახებ, რაც ესოდენ ეთხოვოდა შჩეპკინის შეხედულებებს.

ამ საინტერესო მონტაჟს დაემატა რუსული რომანსები, რომლებიც ინსტიტუტის მუსიკალური კომედიის განყოფილების სტუდენტებმა ჩინებულად შეასრულეს.



ქართული
საბჭოთაო
აკადემია


ინსტიტუტის ფოიეში საქართველოს თე-
ატრალური მუზეუმის მიერ მოწყობილი იყო
მ. ს. შჩეპკინისადმი მიძღვნილი გამოფენა.

სალამომ დიდი ინტერესი გამოიწვია დამ-
სწრე საზოგადოებაში.

აღნიშნულ საღამოს გარდა, საქართველოს
თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარა სპე-

ციალური ლექცია-მოსხენებები თბილისისა
და სხვა ქალაქების წარმოება-დაწესებულე-
ბებში.

მოსხენებები წაიკითხეს—რეისორებმა,
ხელოვ. დამსახ. მოღვაწეებმა შ. კილოსანი-
ძემ, ნ. გოძიაშვილმა, თეატრმცოდნეებმა
ნ. შვანგირაძემ, ელ. კვიციანიამ და სხვ.



(1863-1963)

გასული წლის 25 ნოემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა აღნიშნეს გამოჩენილი ქართველი მსახიობის, საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტის ელისაბედ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ფილოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატი გ. ციციშვილი.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი დაიბადა ხელმოკლე აზნაურის ოჯახში. განათლება შინ მიიღო, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ცოლად გაჰყვა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნიკო ხიზანიშვილს, რომელიც ქართველ ინტელიგენტთა მიწინავე წრეში ტრიალებდა. ამ დიდ მოღვაწეთა გარემოში ყოფნამ და ურთიერთობამ განაპირობა ისედაც ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ელისაბედ ჩერქეზიშვილის თეატრალურ-შემოქმედებითი მოღვაწეობა და დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი პროფესიულ თეატრში პირველად 1886 წელს გამოვიდა ქ. თბილისში, სპექტაკლ „ახლანდელ სიყვარულში“, სადაც ნატაშას როლს ასრულებდა. მას შემდეგ 64 წლის მანძილზე იგი საყვარელ სცენას არ მისმობრებია.

ელ. ჩერქეზიშვილმა ქართული სცენისადმი უანგარო სამსახურის მანძილზე 400-ზე მეტი როლი შესრულა თეატრსა და კინოში. მან შექმნა დაუფიწყარი სახეები როგორც ქართული, აგრეთვე რუსული და სომხური დრამატურებიდან. ასეთებია აზნაურის ქვრივი ილ. ჭავჭავაძის „გლახა ჭრიაშვილი“, ნენე — ხ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, მამიდა — ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“. ხანუმა — ავტ. ცაგარლის „ხანუმიდან“ და მრავალი სხვა. დასამახსოვრებელი სახეები შექმნა აგრეთვე კინოში: ხანუმა „ხანუმაში“, ჯაფანა — ვინ არის დაშაჰყე“, კენინა — „ჯანყი გურიაში“ და სხვა. ეს სახე-

ბი სამართლიანად ითვლება ქართული ეკრანის მშვენივალად.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი კომიკური როლების შესრულების უბადლო ოსტატი იყო. მას გააჩნდა გმირის ხასიათის უნაგანი სამყაროს გადმოცემის განუმეორებელი უნარი, მსახიობისათვის დამახასიათებელი იუმორი და ტემპერამენტი.

ელისაბედ ჩერქეზიშვილმა მწერლობაშიაც სცადა თავისი ნიჭი. იგი ავტორი იყო მრავალი მოთხრობის, პუბლიცისტური წერილების.

1941 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მისი მოგონებები. ჰქონდა ორიგინალური პიესებიც. მისი ვოდევილი „სამოცი წლის არზიყი“ წარმატებით იღვმებოდა ქართულ სცენაზე. გამოუქვეყნებელი დარჩა უცხოეთში მოგზაურობის საინტერესო ჩანაწერები.

— მისთვის ქართული თეატრი მშობლიური კერა იყო, ხელოვნების სამსახური კი — მისი უპირველესი ბედნიერება. ამის დადასტურება ელ. ჩერქეზიშვილის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები... წარმოდგენის გასამართავად ბოლისისსაკენ მიმავალმა თბილისის ავტოსადგომში მოულოდნელად დალია სული...

სალამოზე მოგონებებით გამოვიდნენ სსრკ სახალხო არტისტი ვერაიკო ანჯაფარიძე, საქ. სსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტები: შ. გომელაური და პ. ფრანგიშვილი, და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე.

დასასრულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობებმა, სახ. ფილარმონიის სოლისტებმა და სხვ.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის ხსოვნის პატივსაცემად წარმოდგენილ იქნა აგრეთვე ნაწყვეტები მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლიდან — ავტ. ცაგარელის კომედია „რაც გინახავს ველარ ნახავს“.

თეატრის ფოიეში საქართველოს სათეატრო მუზეუმისა და მარჯანიშვილის სახ. თეატრის მიერ მოწეული ელისაბედ ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა.



(მცირე მოგონება დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო)

შთამომავლობით ზარდალიშვილები იმ ქართველების პირდაპირი ნაშვირნი არიან, რომლებმაც ააშენეს ოშკი, ხახული, ვარძია, ზარზმა და სქედეს ანჩის ხატი, ისინიც შართლმადიდებელი იყვნენ, მაგრამ ბედი უკუღმა დაუტრიალდათ. თურქებმა გაათარება მოსთხოვეს, გამაჰმადიანებისაგან თავის დასაცავად კათოლიკობა მიიღეს.

კათოლიკური სკოლის მასწავლებელი ფრანცი ჩინებული მოქართველ და განათლებული კაცი იყო, მაგრამ მცირე ხელფასის მქონე პედაგოგს არც საკუთარი მიწა ჰქონდა საღმე და არც საკუთარი სახლკარი.

1883 წელს ფრანცი და ანასტასია ზარდალიშვილების ოჯახში მეორე ვაჟი იუზა დაიბადა.

მეშვიდე წელიწადში გადამდგარი ბიჭი მაგრამ კათოლიკე ქართველების სკოლის პირველ განყოფილებაში შეიყვანა. ამ სკოლაში ხომ ფრანცი თვითონ ასწავლიდა, ბავშვმა პირველი დღიდანვე გამოიჩინა თავი, მაგრამ ოჯახმა მალე მამა მიწას მიბარა. დედამ ქმრის დამარხვის მეორე დღეს შვილების გასაგონად თქვა:

ახლა კი გაგვიწყრა გამჩენი!

დარჩა ოჯახი უსახსროდ, დედამ რვა წლის იუზა სკოლიდან გამოიყვანა. ბავშვებს სასბელ-საქმელი აკლდათ. სიღატაკე და შიმშილი შემოდიოდა შინ და მკვიდრდებოდა.

დედა იძულებული გახდა ცოლად გაჰყოლოდა ისეთ კაცს, რომელიც ბავშვების აღზრდაში დაეხმარებოდა, მაგრამ ზედმა უმეტუნა, მაინცეცალმა არ ისურვა ერჩინა ბავშვები და ნაცვლად სწავლის გაგრძელებისა, მათ ვაჭრობა დააწყებინა. ოჯახიდანაც კი გააძეგნა წიგნების მოყვარული იუზა, რადგან გამუდმებული კითხვა მას ხელს უშლიდა მიეღო ვაჭრობაში წარმატება. შემდეგ როტშილდის

ქარხანაში მტვირთავად მუშაობდა, გემზე იუნგობდა, ყმაწვილს იზიდავდა ზღვა, მაგრამ იგი ავად გახდა და კაპიტანმა ბათუმში დატოვა. განკურნებული იუზა უმიზნოდ დახეტიალობდა ბათუმის ქუჩებში. უცებ აფიშას მოჰკრა თვალი, რომელიც იუწყებოდა, რომ ლადო მესხიშვილის მონაწილეობით ქუთაისის დასი მართავდა „ედმუნდ კინს“. დაინტერესებული იუზა შევიდა თეატრში. ლამაზი მამაკაცი მსახიობებს რალაცას უხსნიდა. კარებთან მდგარი მელნაურის ტანსაცმელიანი მოკრძალებული ახალგაზრდა დანახა და მიხმბო. იუზა მიუახლოვდა. რა იცოდა მამის მან, რომ მის ქართული სცენის დიდება ლადო მესხიშვილი ესაუბრებოდა. „ედმუნდ კინს“ მესამე მოქმედებაში მელნაურები იყო საჭირო და ლადომ უთხრა იუზას, მიელო მონაწილეობა. ამგვარად იუზა ზარდალიშვილის მომავლის ბედი გადაწყდა.

1899 წლიდან მესხიშვილმა იუზა ქუთაისის თეატრში სტატისტად მიიწვია. თავს იდეა შინი ბატრონობაც და საკუთარ ოჯახში მისცა ბინა.

ლადო მესხიშვილს იგი უსიტყვო როლებში გამოჰყავდა. ერთხელ, როდესაც ლადო ავად გახდა და თეატრი გამოუთვალ მდგომარეობაში ჩავარდა, ავადმყოფმა მესხიშვილმა მსახიობები დაამშვიდა: „განაგრძეთ რეპეტიცია, მე კი ვეცდები სპექტაკლისათვის გამოეჯობინდე, მაგრამ თუ ვერ შეეძელი, ჩემს როლს ზარდალიშვილი ითამაშებსო“, ეს იყო გაიოზ ფალავას როლი ვ. ვუნიას პიესაში „და-შმა“. ამ ამბავმა დიდი მოთქმამოთქმა გამოიწვია როგორც თეატრში, აგრეთვე საზოგადოებაში—როგორ, ლადოს შეცვლის იუზა ზარდალიშვილი?!.. დადგა პრემიერის დღეც. აღივსებული იუზა ელოდა თავის მასწავლებელს, რომელმაც პრემი-



ერის დღეს მოსვლა აღუთქვა. ლადოს შეავიანდა მოსვლა. ახალგაზრდა მსახიობი რწმუნდებოდა, რომ სცენაზე გასვლას ვერ მოახერხებდა. ამ დროს გაიღო კარები და მოვიდა ლადო. მივიდა იუზასთან და გადაკოცნა, გაამხნევა. იუზას აღარ ეშინია, ახლა შესძლებს თამამად გამოსვლას სცენაზე. დამთავრდა პირველი მოქმედება, ტაშის გრი-ალმა ამცნო მსახიობს, რომ მან გაიმარჯ-ვა. მესამე მოქმედების შემდეგ ოვაციებს და-სასრული არ უჩანდა, თვით ლადომ გამოიყ-ვანა იუზა სცენაზე, ასე დაულოცა გზა მეს-ხიშვილმა თავის ნიჭიერ მოწაფეს. ამიერი-დან ზარდალიშვილი მთავარი როლების შემ-სრულებელი გახდა. ის ყოველთვის დიდი სიყვარულით მუშაობდა როლებზე. მისი ლე-ვან ხიმიშაშვილი, არმან დიუვალი, ნეზნა-მოვი, ჰამლეტი, საბა, მუროვი და სხვა მრ-ვალი, მაყულებელმა დიდად მოიწონა და დი-მანსოვრა.

ი. ზარდალიშვილს გარდასახვის შესანიშ-ნავი უნარი ჰქონდა, რის მეშვეობითაც ფარ-თე დიპაზონის მსახიობად აღიზარდა. 1909 წ. იუზას იწვევენ სამუშაოდ თბილისში, სადაც მაყურებლის საყვარელი მსახიობი გახდა. ზარდალიშვილი მოხდენილი გარეგნობის იყო. შესანიშნავად ეხერხებოდა კოსტუმების ტარება. ყველა განცვიფრებაში მოყავდა თა-

ვის დახვეწილ არისტოკრატიულ მანერებში. გეგონებოდათ, სალონებში აღზრდილი იყო და არა ფუნთუშების გამყიდველი.

1912 წელს თბილისის დრამატულმა საზო-გადოებამ იგი ვალერიან შალიკაშვილს და ნატალია ჯავახიშვილთან ერთად რუსეთის თეატრალური კულტურის გასაცნობად მოს-კოვსა და პეტერბურგში მიავლინა.

ი. ზარდალიშვილი დაულაღვად ემსახურე-ბოდა ქართულ თეატრს. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ხაშურის, ფოთის, ქუთაისის, ბა-ქოს თეატრების ხელმძღვანელად. 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-ყარებისთანავე ის საქართველოში სანახაო-ბათა დაწესებულებების კომისრად დაინიშნა.

1938 წელს ი. ზარდალიშვილი დაუბრუნდა ქუთაისს. ამ დროისათვის მას რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს.

იუზა ზარდალიშვილი სამაგალითო იყო ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობებისათვის.

გარდაიცვალა იუზა ზარდალიშვილი 60 წლის ასაკში. მადლიერმა ქუთაისელებმა მისი ნეშტი ბაგრატის ტაძრის ეზოში დაკრძალეს და მიაყარეს პეშვი მიწა იმ მშობლიური ქვეყ-ნისა, რომლის სამსახური და სიყვარული-ასე კარგად იცოდა ხალხის ამ საყვარელმა მსახიობმა.



საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ საქართველოს კომპოზიტორთან კავშირთან და საქართველოს ხელოვნების მუშაჯთა სახლთან ერთად 17 დეკემბერს მოაწყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დირიჟორ ალექსანდრე გველესიანის დაბადებიდან 65 წლისთავის აღსანიშნავი ხსოვნის საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სრ კავშირის სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა აკ. ხორავამ, რომელმაც აღნიშნა ალ. გველესიანის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა როგორც საოპერო ხელოვნების დარგში, ისე დრამატულ თეატრებში და რადიოკომიტეტში. შემდეგ მან სიტყვა მოხსენებისათვის მისცა პროფ. პავლე ხუჭუას.

— ალ. გველესიანის ხანგრძლივი მოღვაწეობა ქართული საოპერო და დრამატულ თეატრებში, — თქვა მომხსენებელმა, — იმდენად მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო, რომ მისი ერთ მოხსენებაში ჩამოთვლა შორს წავიყვანდა, მაგრამ მე მაინც შევეცდები მოკლედ გადმოგცეთ მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მომენტები.

ალ. გველესიანი დაიბადა 1897 წელს თბილისში. დედა მისი მუსიკით იყო გატაცებული, რამაც დიდი გავლენა მოახდინა პატარა საშაზე, ძირითადად მან განაპირობა მომავალში ალექსანდრე გველესიანის დირიჟორად ჩამოყალიბებაც. 1916 წელს ალ. გველესიანმა დაამთავრა თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზია და სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა მოსკოვს. შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ ის 1920 წლამდე დარჩა.

მუსიკით გატაცებული ალ. გველესიანი იურისტობას მალე ანებებს თავს და საბოლოოდ უკავშირებს ბედს მუსიკას, საოპერო და დრამატულ ხელოვნებას. ალ. გველესიანი გულმოდგინედ შეუდგა მუსიკის თეორიის შესწავლას. იგი მალე თბილისის ოპე-

რის გუნდის ხელმძღვანელი ხდება. ამავე დროს მას ნიშნავენ აკრეთვე სცენის ინსპექტორის თანამდებობაზეც.

1921 წლიდან ალ. გველესიანი რუსთაველის სახელობის თეატრშია, ხოლო 1928-29 წ.წ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ და დირიჟორად მუშაობს. ამავე დროს საოპერო და დრამატულ სტუდიაში ასწავლის მუსიკის თეორიას. ამ პერიოდში ალ. გველესიანი უკვე საკმაოდ ავტორიტეტი და ყურადღება დაიმსახურა როგორც ნიჭიერმა მუსიკოს-დირიჟორმა, რის შედეგადაც მას 1929-36 წ.წ. კვლავ იწვევენ სახელმწიფო ოპერაში მთავარ დირიჟორად. აქ ვატაკციით მუშაობს იგი ორკესტრთან და განსაკუთრებით ხალგაზრდა მომღერლებთან. აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში ცნობილმა დირიჟორმა ივანე ფალიაშვილმა „აბესალომ და ეთერის“ დირიჟორობა უკვე ალექსანდრეს მიანდო, ხოლო 1930 წელს მან ბრწყინვალედ ჩაატარა „სევილიელი დალაქის“ დირიჟორობა, რომელშიაც მონაწილეობდნენ იმ დროისათვის ცნობილი მსახიობები: ლემეშვილი, —ალმაღვის, სანდრო ინაშვილი—ფიგარო, ნუნუ ცაგურია—როზინა. ასევე სსახელოდ უდირიჟორა მან „რიგოლეტო“, რომელშიაც მონაწილეობდნენ: კოზლოვსკი—ჰერკოგი, ს. ინაშვილი—რიგოლეტო და ცაგურია—ჯილდა.

1936-38 წ.წ. ალ. გველესიანი გადაჰყავთ საქ. რადიოკომიტეტში მთავარ მუსიკალურ რედაქტორად და დირიჟორად, ხოლო 1939-41 წ.წ. მას ნინაშვენი სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელად.

ასეთია ალექსანდრე გველესიანის მუსიკალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები. ალ. გველესიანი იყო ქართული მუსიკისა და საოპერო სათეატრო ხელოვნების თავადღებუი მოღვაწე. სხვა მრავალ დამსახურებებთან ერთად, მისი უშუალო ინიციატივით შესრულდა ქართული სიმფონიური პოემები. გრ. კილაძის „განდგილი“,



შ. შველიძის „ზვიადაური“. რაც იმ დროისათვის მეტად დადებით მოვლენას წარმოადგენდა.

ალ. გველესიანის შემოქმედებას ახასიათებდა ღრმა ცოდნა და მაღალი მუსიკალური კულტურა. მისი ხელმძღვანელობით დაწინაურდნენ და შემდეგ სახელმწიფო დირიჟორები გახდნენ:—შ. აზმაიფარაშვილი, ო. დიმიტრიადი, გრ. კილაძე, ვ. გოკიელი და სხვა. ალ. გველესიანის ხელმძღვანელობით არსებული სიმფონიური ორკესტრი სისტემატიურად მართავდა კონცერტებს არა მარტო თბილისში, არამედ პერიფერიულ ქალაქებშიაც: ქიათურაში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, მახარაძეში, ცხაკაიასა და გაგრაში და სხვაგან.

1941 წ. ალ. გველესიანს ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

სალამოზე გულთბილი მოგონებები გასული ვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა დ. მჭედლიძე და არ. ჩხარტიშვილი, ჟურნალისტი, საქ. ტელევიზიის დირექტორი აკ. ძიძიგური და სხვები.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფერიძემ, რესპ. სახალხო არტისტმა თ. ჭავჭავაძემ, რესპ. დამსახურებულმა არტისტებმა ედ. მაღალაშვილმა, ი. ტრიპოლსკიმ, ა. კობლაძემ, ნ. ანდლულაძემ, ედ. შირიანაშვილმა, თ. ბაქრაძემ, მსახიობმა მ. დონაძემ, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა ლ. მიშველიძემ და ც. გოჭაძემ, საქ. ფილარმონიის საფორტეპიანო ტრიომ რ. ასტახიშვილის, გ. ოქრობერიძის და ი. ჭეიშვილის მონაწილეობით და ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის კამერულმა ორკესტრმა, მის. ძიძიგვილის დირიჟორობით. კონცერტმეისტერი ელ. ჯანდიერი.

25 ოქტომბერს ქალაქ სიღნაღის სახალხო თეატრში მიეწყო კულტსახლის დირექტორის და მსახიობის სერგო ზაქარაიას-ძე ბაშინჯალოვის შემოქმედებითი საღამო, მიძღვნილი მისი დაბადებიდან 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ილ. სიმონიშვილმა.

სერგო ბაშინჯალოვის ცხოვრება და მოღვაწეობის შესახებ მოხსენიებით გამოვიდა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თეატრალური განყოფილების გამგე დრამატურგი აკაკი დვებიძე.

მომხსენებელმა გააშუქა რა ბაშინჯალოვის ცხოვრების და შემოქმედების მრავალფეროვნება აღნიშნა, რომ 19 წლის მაშინჯალოვი სცენაზე შესვლის შემდეგ ორმოცი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქალაქებში მრავალ თანამდებობებს ასრულებდა, მაგრამ თავის ძირითად მისწრაფების — დრამატულ თეატრში მოღვაწეობისათვის არ უღალატნია და დღესაც მისი გულშემატკივარი და ერთგულია. ბაშინჯალოვი მუშაობდა გურჯაანის, ლავოდეხის და სხვა რაიონების თეატრალურ დაწესებულებებში, ხოლო სამაპულო ომის წლებში ერთ-ერთ ლეგიონის კლუბს ხელმძღვანელობდა. ომის დამთავრების შემდეგ ბაშინჯალოვი ბრუნდება თავის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში, სადაც იგი ხელმძღვანელობს სახელმწიფო დრამატულ თეატრს.

ამის შემდეგ იგი დღევანდლამდე სიღნაღის სახალხო თეატრის ხელმძღვანელია, ამ თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი.

მომხსენებელმა აღნიშნა რა ბაშინჯალოვის მიერ 40 წლის მანძილზე შესრულებული როლები, ცალკე გამოჰყო კაჟუტია პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“, ზიმზიმოვი სუნდუქიანის „პეპოში“, პასტორი იბსენის „მოჩვენებანში“, ქლესოვი და მახუთიანი ცავარელის „ციმბირელში“, ხიმშიაშვილი და ლიონიძე ერისთავის „სამშობლოში“. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ბაშინჯალოვის

შრომის მოყვარეობას, რომ ს. ბაშინჯალოვი არ კმაყოფილდება თავის პირდაპირი მოვალეობით — მსახიობობით, არამედ ზეირად სცენის მემბანქანის, გრიმიორის და მხარავის მოვალეობასაც ასრულებდა სრულიად უსასყიდლოდ და მით ხელს უწყობდა წარმოდგენის უზრუნველყოფას.

მოხსენების შემდეგ მისალოცი სიტყვით იუბილარს მიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვაიოხ-იაკაშვილმა. იგი შეეხა სახალხო თეატრების მნიშვნელობას და ამ თეატრებში მომუშავეთა მოვალეობას, რის შემდეგ წაიკითხა და ბაშინჯალოვს გადასცა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის მისალოცი ადრესი.


საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელით მიულოცა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შალვა კილოსანიძემ, მან ბაშინჯალოვს კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტის სიგელი გადასცა.

ქართული ხალხური შემოქმედებითი რესპუბლიკური სახლის სიგელი გადასცა თამაზ ფერაძემ.

წითელწყაროს მშრომელთა სახელით იუბილარს მიულოცა ირაკლი მოლოდინმა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ნ. გომიაშვილი, სიღნაღის სახალხო თეატრის რეჟისორი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნუნუ მაჭუვაიაძე, ობანის სასოფლო კლუბის გამგე ალ. გოგოლაშვილი, ლავოდეხის კულტსახლის დირექტორი ვახტანგ თანდაშვილი, სიღნაღის რაისაბჭოს კულტურის განყოფილების ინსპექტორი ვ. გოჩიტაშვილი, პიონერი ქეთევან ქუფარაშვილი, სიღნაღის სახალხო თეატრის ახალგაზრდა მსახიობი გეული ოქროაშვილი, მსახიობები შ. ლომიძე, სანაშვილი და თ. შენთეშაშვილი.

წაითხული იქნა სიღნაღის რაიაღმასკომის კომიტეტის დადგენილება სერგო ზაქ-



როს-ძე ბაშინჯალოვის შეტანის შესახებ
სიღნაღის შრომის დიდების წიგნში, რამაც
დარბაზში ოფიცია გამოიწვია.

დასასრულს ბაშინჯალოვმა გულთბილი
მადლობა გადაუხადა პარტიას, სახელმწიფო
ორგანოებს, კულტურის სამინისტროს, საქ.

თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს
და თავის საყვარელ მაყურებლებს.

სალამოს მხატვრულ განყოფილებაში სერგო
ბაშინჯალოვის მონაწილეობით მაყურებელს
უჩვენეს სცენები პიესებიდან: ს. მთვარაძის
„უმაღური“ ფ. შილერის „ვერაგობა და
სიყვარული“, შ. დადიანის „შინს ამოსე-
ლამდე“.



ბოლკეჩოვა 1963 წლის IV კვარტალში

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც გაშუქებულია „მოამბის“ მე-3 ნომერში, ჩაატარა კიდევ შემდეგი ღონისძიებები:

საზოგადოებამ საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და საქ. სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად ჩაატარა რესპუბლიკური დათვლიერება თემაზე: „ახალგაზრდობა სპექტაკლებში“ და „თანამედროვე დრამატურგია სცენაზე“. დამთვლიერებელ ჟიურში შედიოდნენ: ამხ. აკ. დვალისვილი (საქ. სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე, ჟიურის თავმჯდომარე), რ. მერტველი (საქ. ალკკ ცკ მდივანი, ჟიურის თავმჯდომარის მოადგილე) ვ. იაკაშვილი — (თს თავმჯდომარის მოადგილე და ჟიურის, თავმჯდომარის მოადგილე), ნ. შვანგირაძე (საქ. თეატრალური საზოგადოების გამეც. შემოქმედებითი განყოფილების გამეც. ჟიურის მდივანი), წევრები: რესპ. სახ. არტისტი პ. ფრანგიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: რეისორი შ. კილოსანიძე, მხატვარი ფ. ლაპაიშვილი და კომპოზიტორი ბ. კვერნაძე, რ. ხანთაძე (საქ. ალკკ ცკ), თეატრმცოდნეები: თ. ჯანელიძე მ. ცხომარია (საქ. სსრ კულტურის სამინისტრო).

ჟიურის წევრებმა დაათვლიერეს შემდეგი სპექტაკლები: რუსთაველის სახ. თეატრში ვ. როზოვის, „ვახშობის წინ“ — გადმოქართულებული ჯ. ჩარკვიანის მიერ. ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“. მარჯანიშვილის სახ. თეატრში კ. ტრენიოვის „ლუბოვ იაროვაია“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“, გრიბოედოვის სახ. თეატრში ვ. როზოვის „ვახშობის წინ“, ა. შტეინის „ოკიანე“, დ. შვარცის „არაჩვეულებრივი სასწაული“, თოჯინების ქართულ თეატრში ლანდაუს „ფიფქიას სკოლა“ და გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, შაუმიანის სახ. თბილისის სომხურ თეატრ-

ში გ. ბორიანის „ხილზე“ და გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, ვ. აბაშიძის სახ. თბილისის მუსკომედის თეატრში „შესანიშნავი სამეფო“, — ლობრეტო ო. ხუნწარიას, მუსიკა ცაბაძისა და „ჩინტას კაცია“ — ლობრეტო შატუნოვსკისა, მუსიკა ბ. მილოუტინისა, მზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში ვ. როზოვის „გზა მშვიდობისა“ და რ. ბეჟანიშვილის „ცისკარაულების ბუდე“, მოზარდმაყურებელთა რუსულ თეატრში ივანტერის „ყოფილი ბიჭები“ კარასტილიოვის „ვოკა პლანეტაზე“ და „ზივის თავგადასავალი“, ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში „დასის“, გ. ერისთავის გორის სახელმწიფო თეატრში „მე ვხედავ მზეს“, და ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“, თეატრის სახელმწიფო თეატრში გ. ბერიაშვილის „ტრიფები მტკვრის პირას“ და „მეტეხის ჩრდილში“, კ. ხეთაგურიოვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ქართულ კოლექტივში პ. კოპოტის „როცა ასეთი სიყვარულია“ და ვ. გოგოლაშვილის „წვრთები“, ოსურ კოლექტივში გ. ტუგაევისა და ე. იარლოვის „სხვის ცხენზე ნუ შეჯდები“ და ვ. ვაგლოვის „ლეგენდა სიყვარულზე“, აკ. წერეთლის სახ. ქიათურის სახელმწიფო თეატრში „ტრიფები მტკვრის პირას“ და „მე ვხედავ მზეს“, ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრში ბ. ლავრენიევის „რღვევა“, ო. ჩიჯავაძის „თეთრი ჩრდილები“, ა. აბშილაგას „ადამიანი დაბრუნდა“ და ი. ვაკელის „ხელაშვილების ოჯახი“, ქუთაისის თოჯინების თეატრში ბ. კუხიანიძის „ბიჭები იძებნენ ვახაზბულს“, ნ. კეშელარიას „რევიზორი ვეფხვი“ და ალ. შალუტაშვილის „ჯოჯოხეთის მოცეკვლი“, ილ. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის სახელმწიფო თეატრში „მე ვხედავ მზეს“, „ადამიანი იბადება ერთხელ“, ვიტლინგერის „ვარსკვლა-



საქართველოს მწერთა კავშირი

ვებიდან ჩამოსული კაცი“, ა. სამსონის „ჩემი შვილი სიმონი“, მახარაძის სახელმწიფო თეატრში „მე ვხედავ მზეს“ და „აპრაქსე ჭიმიჭიმი“, ფოთის სახელმწიფო თეატრში „ადამიანი დარბუნდა“ და „მე ვხედავ მზეს“, ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში ლ. ქიაჩელი „გვაღბიგვა“ და პოსათასის „საჭიროა მატყუარა“.

მოსხენების ციკლიდან სხვადასხვა თეატრების მუშაკთათვის წაითხული იქნა შემდეგი მოხსენებები: „მოსკოვის თეატრების 1963-64 სეზონის რეპერტუარი“ — მოხსენებელი ჟურნალ „ტეატრის“ მთავარი რედაქტორი აშხ. ვლ. პიშენოვი, „სასცენო მეტყველება“ სოხუმის თეატრში, მოხსენებელი პროფ. შ. ძიძიგური, სპექტაკლ „ვაზისუნელი ემბიკების—მე-300 წარმოდგენა“ — თელავის თეატრში მომხს. კ. გაწერელია, „მოსკოვის თეატრალური ცხოვრება“ საქ. თეატრალურ საზოგადოებაში და გრიბოედოვის სახ. თეატრში, მომხს. ხელოვ. დამსახ. მოღვაწე კ. შახ-აზიზოვი, „მოსკოვის მოზარდმაყურებელთა თეატრები“ მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში და თოჯინების ქართულ თეატრში, მომხს. კ. შახ-აზიზოვი.


ამავე დროს დიდი რუსი მსახიობის შჩეპკინის დაბდებიდან 175 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა ციკლი ლექცია-მოხსენებებისა. ასე მაგ.: რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა შჩეპკინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებები წაიკითხა თელავისა და ზუგდიდის სახელმწიფო თეატრებში, ხელ. დამსახ. მოღვაწე ნ. გოდიაშვილმა — გორისა და სანჯულტურის თეატრებში, ხელოვ. დამსახ. მოღვაწე მ. კილოსანიძემ თბილისის სომხურ და ცხინვალის თეატრებში, გ. იაკაშვილმა კულტ. საგანმანათლებლო სასწავ-

ლებლისა და ხელოვნების სახლის ატრემკოდნე ვლ. კვიციანი კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა და ვაჭრობის მუშაკთა კავშირების კულტურის სახლებში და სხვა.

ამავე პერიოდში განხილულ და მიღებულ იქნა სპექტაკლები: „თეთრი ჩრდილები“ ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრში — მომხს. პ. ფრანგიშვილი, „მე ვხედავ მზეს“ აკ. წერეთლის სახ. ქიათურის სახელმწიფო თეატრში, მომხს. ნ. გოდიაშვილი. „ტირიფები მტკვრის პირას“ და „მატყუარა“ თელავის თეატრში, მომხს. თეატრმცოდნე მ. ცხომარია და სხვა.

გარდა ამისა საზოგადოებასთან არსებული სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს ხაზით თელავის სახელმწიფო თეატრში განხილულ იქნა სპექტაკლები: ლ. სანიკიძის „მეღა“ და „მე ვხედავ მზეს“ რომელსაც დაესწრნენ აკადემიკოსები: გ. ახვლედიანი და ვ. თოფურია, რესპ. სახ. არტ. ც. ამირაჯიბი, პროფ. შ. ძიძიგური, ხელოვ. დამსახ. მოღვაწე დ. ჯანელიძე და დოცენტები მალეკო მრეველიშვილი და ბ. ნიკოლიანი.

ამასთან ერთად თეატრალურმა საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო თათბირზე: „რეპერტუარის საკითხებზე“, რომელიც საქ. მწერალთა კავშირთან და საქ. სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად მოეწყო. თათბირი გახსნა კულტურის მინისტრმა აშხ. თ. ზუაჩიძემ, მოხსენებით გამოვიდა სათეატრო სამართავლოს უფროსის მოადგილე აშხ. თ. ჯანელიძე. თათბირზე ერთმანეთს გაუზიარეს აზრები: სსრ კავშირის სახ. არტისტებმა ვ. ანჯაფარიძემ და აკ. ვასაძემ, რესპ. სახ. არტისტებმა: დ. ალექსიძემ, დ. ანთაძემ და არ. ჩხარტიშვილმა, ხელოვ. დამსახ. მოღვაწე გ. ლორთქიფანიძემ და აგრეთვე მწერლებმა ბ. ჟღენტმა, დ. შენგელიამ, ვ. პატარაიამ, კ. კალაძემ, ს. კლდიაშვილმა, პ. კაკაბაძემ, თ. ჩიჯავაძემ და სხვა.



КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

Журнала „МОАМБЕ“ № 4 Органа Грузинского Театрального Общества

Современникам—современность [передовая]

Тема современности была и остается самой актуальной темой советского искусства. Тяга театральных деятелей Грузии к теме современности очень велика, но на сцену театров не всегда показывают высоко-

художественные и высокоидейные пьесы. Только хорошая пьеса, нашедшая в лице своих постановщиков вдумчивых и тонких художников—интерпретаторов—основа успеха будущего спектакля.

П л е н у м Т О Г

Июньский пленум ЦК КПСС, посвященный неотложным вопросам идеологической работы в нашей стране вызвал живейший отклик в среде грузинской интеллигенции. Решения пленума были восприняты как руководство к действию для театров и других творческих коллективов республики. В журнале напечатан подробный отчет о пленуме ТОГ, на котором были подведены итоги прошедшего театрального сезона в свете решений июньского пленума партии. С докладом, на тему: „Решения июньского пленума ЦК КПСС и задачи наших театров в борьбе за современный репертуар“—на пленуме выступил зам. Министра Культуры ГССР А. Двалишвили. Докладчик оха-

рактеризовал репертуар театров республики, выделил, как положительные явления в театральной жизни Грузии, спектакли—„Я вижу солнце“ Н. Думбадзе и Г. Лорткипанидзе в театре им. Марджанишвили, „Человек рождается один раз“ О. Иоселиани, в театре им. Руставели и др. В тоже время он отметил некоторые отставание театров в освоении темы современности.

В прениях выступили нар. арт. СССР А. Васадзе и А. Хорава, драматурги М. Мревлишвили и В. Патарая, театроведы Д. Джанелидзе и В. Кикнадзе, критик В. жгенти, нар. арт. ГССР Д. Мчеллидзе, литератор А. Бегашвили и др.

Методсовет по сценической речи продолжает работу

Методический совет по сценической речи в составе акад. Г. Ахвледиани и В. Топурия, доктора филологич. наук Ш. Дзидзигури, и Д. Джанелидзе, доцентов: М. Мревлишвили, Б. Николайшвили и засл. арт. респ. Ц. Амираджиби выезжал в г. Телави для ознакомления с состоянием сценической речи в телавском театре. В номере напечатана информация о за-

седании методсовета, члены которого просмотрели два спектакля театра—„Я вижу солнце“ Н. Думбадзе и Г. Лорткипанидзе и „Медея“ Л. Саникидзе—отметили хороший общий уровень сценической речи актеров. В то же время было высказано пожелание оградить сцену от излишних диалектизмов, засоряющих язык и бороться за



четкую, выразительную и доходчивую сценическую речь.

На заседании выступили—доцент А. Гвенцладе, секретарь телавского райкома пар-

тии Г. Маградзе, актер телавского театра засл. артист ГССР П. Ахвледiani, директор телавского театра А. Купататзе и др.

Гастроли московского театра кукол в Тбилиси

В Тбилиси гастролировал московский театр кукол, показавший тбилиским юным зрителям свои лучшие постановки: „Мальчиш-Кибальчиш“, „Львиная доля“, „Прекрасный день“ и др.

После окончания гастролей, ТО Грузии организовало диспут—разбор гастрольных спектаклей московских друзей.

В журнале напечатана информация об этом диспуте. Докладчик—театровед Е. Квиркелия, выступившая на диспуте с раз-

бором спектаклей театра, отметила жанровое многообразие репертуара и художественные и технические достоинства постановок театра.

В прениях по докладу Е. Квиркелия выступили режиссеры: Г. Микеладзе, О. Алексишвили, Ш. Килосанидзе, художник Ир. Мдивани, театровед М. Гоголашвили и глав. реж. московского театра кукол Б. Аб-линин.

175 летие со дня рождения великого русского актера М. С. Щепкина

В Грузии широко отмечались „щепкинские дни“. В статье дается подробный отчет о вечере, состоявшемся в помещении театрального института им. Ш. Руставели. Его организаторами были Министерство культуры ГССР, ТО Грузии и Грузинский ГИТИС.

Вечер со вступительным словом открыла доцент Э. Гугушвили. Докладчик-доцент Н. Шалуташвили обстоятельно проанализировала творческий путь гениального актера, бывшего крепостного, основоположника реалистической школы актерской игры. Искусство Щепкина, всеми своими истоками свя-

занное с жизнью русского народа, было проникнуто идеями высокого гуманизма, гражданственности и морального совершенствования человека.

В художественной части вечера, студенты театрального института (рук. доцент Б. Николашвили) прочли отрывки из писем Щепкина, Белинского, Герцена и деятелей грузинского театра, о назначении театра и актерского творчества. Студенты же музыкального отделения института исполнили романсы русских композиторов.

Вечер памяти Елизавети Черкезишвили

(1863—1963)

В номере напечатана информация о вечере, посвященном 100 летию со дня рождения замечательной грузинской актрисы, нар. арт. республики Е. Черкезишвили, который организовали ТОГ и театр им. Марджанишвили. С докладом о жизни и деятельности Е. Черкезишвили выступил канд. филологи-

ческих наук Г. Цицишвили. по характеру дарования Е. Черкезишвили особенно удавались комедийные образы. Ее исполнение отличалось неподдельным юмором, непосредственностью, задором. Е. Черкезишвили автор интересных мемуаров, рассказов, пьес.

На вечере с воспоминаниями выступили ко-

леги Е. Черкезишвили—В. Анджапаридзе, Ш. Гомелаури, П. Прангишвили, Д. Чхеидзе. Свое искусство показывали актеры театра им. Марджанишвили и Грузфилармонии, были исполнены сцены из спектакля театра им.

Марджанишвили „Иные нынче времена“ А. Цагарели; в фойе театра была выставлена выставка отражающая творческий путь талантливой актрисы.

ЮЗА ЗАРДАЛИШВИЛИ

(к 80 летию со дня рождения)

Под таким заголовком в журнале напечатаны теплые воспоминания об одном из интереснейших актеров грузинского театра первой половины 20 в. Нар. артиста республики Ю. Зардалишвили, актер лирико-драматического плана, долгие годы работал под

руководством Л. Месхишвили в г. Кутаиси, был актером театра Тбилисской гос. драмы, руководил многими театрами республики и был первым комиссаром зрелищных предприятий Советской Грузии.

Вечер памяти Александра Гвелесиани

Исполнилось 65 лет со дня рождения известного грузинского дирижера Александра Гвелесиани. ТО Грузии, совместно с Союзом композиторов и домом работников искусств Грузии, организовало вечер, посвященный этой памятной дате. Открывая вечер, народный артист СССР А. Хорава, говорил о большой и плодотворной работе А. Гвелесиани в оперном и драматическом театрах Тбилиси и Груз. радио-комитете. С

докладом о жизни и деятельности дирижера выступил проф. П. Хучуа, который детально осветил творческий путь и отметил большие заслуги А. Гвелесиани в деле подготовки и воспитания дирижеров-симфонистов в Грузии.

В заключение вечера, состоялся концерт с участием актеров тбилисских театров и Гос. филармонии и студентов художественных ВУЗ-ов Тбилиси.

40 лет на сцене

Народные театры—очаги культуры на селе—выявили многих энтузиастов культпросветработы, пропагандистов и бескорыстных деятелей искусства. Одному из таких работников народного театра, директору Сигнахского дома культуры Сергею Башинджагову исполнилось 60 лет, 40 из которых он посвятил сценической деятельности.

В журнале напечатана корреспонденция из Сигнаги, где состоялся вечер, посвященный этой дате. На вечере, с докладом о жизненном и творческом пути С. Башинджагова, выступил драматург А. Девидзе. В адрес юбиляра поступили многочисленные приветствия.

Деятельность ТО Грузии за IV квартал 1963 г.

ТО Грузии совместно с ЦК ЛКСМ Грузии провело смотр на темы: „Молодежь на сцене“ и „Современная драматургия в театре“. Жюры смотра (председатель зам. мин. культуры ГССР—А. Двалишвили) ознакомились с работами театров Тбилиси и других городов республики.

За отчетный период были прочитаны мно-

гочисленные лекции на театральные темы и в связи с 175 летием со дня рождения Н. С. Щепкина; были приняты новые спектакли театров республики, а методсовет по сценической речи просмотрел спектакли тельавского театра.

ТО Грузии совместно с Союзом писателей и Минкультуры Грузии приняло участие в совещании по вопросам репертуара театров.

ს ა რ ჩ ე ვ ი

83

თანამედროვეებს—თანამედროვეობა (მოწინავე)	3
პლენუმი	5
სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭო განაგრძობს მუშაობას	10
მოსკოვის თოჯინების სახელმწიფო თეატრის გასტროლები თბილისში	14
175 წელი დიდი რუსი მსახიობის მ. ს. შჩეპკინის დაბადებიდან	17
ელისაბედ ჩერქეზიშვილის ხსოვნის საღამო	20
იუზა ზარდალიშვილი (მცირე მოგონება დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო)	21
ალექსანდრე გველესიანი	23
40 წელი სცენაზე	25
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა 1963 წლის IV კვარტალში	27



СО Д Е Р Ж А Н И Е

	ст.
Современникам—Современность (передовая)	3
Пленум	5
Методсовет по сценической речи продолжает работу	10
Гастроли московского театра кукол в Тбилиси	14
175 ление со дня рождения великого русского актера М. С. Щепкина	17
Вечер памяти Елизаветы Черкезишвили	20
Юза Зардалишвили (к 80 летию со дня рождения)	21
Вечер памяти Александра Гвелесиани	23
40 лет на сцене	25
Деятельность ТО Грузии за IV квартал 1963 г.	27

НА ПРАВАХ РУКОПИСИ

Т О Г
В Е С Т Н И К
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)
Тбилиси—1963
№ 4 (26)

გადაეცა წარმოებას 20/1 1964 წ.

ფორმათა რაოდენობა 2,12

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბა, თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии, Тбилиси, ул. Горького № 3

Заказ 186

УЭ 06327

Тираж 200

ქვედა

44. 13/16.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

15